აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№10 (25.138) 15 მარტი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს ზოგან მოსალოდნელია მცირე წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 13-18 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ჩვენ 103 წლისა ვართ!

სოფელ ხალაში გაზიფიცირების პროცესი დასრულდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს.

მათივე ცნობით, დაბა ჩაქვში ტურისტულად აქტიურ ზონაში, სრულად განახლდა და შეიცვალა არსებული პარკის ინფრასტრუქტურა. პარკის რეაბილიტაციის ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია.

„დასკვნით ეტაპზეა სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მოსწავლეები სექტემბრიდან სწავლას ევროპული სტანდარტების განახლებულ სკოლაში გააგრძელებენ. განხორციელდა შენობის შიდა და გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო ღია სპორტული მოედანი და ამფითეატრი. სრულად კეთილმოეწყო სკოლის ტერიტორია. სამუშაოების ღირებულება 1 600 000 ლარია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში გაზიფიცირების პროცესი დასრულდა. გაზი სოფელ ხალას 205 აბონენტს ჩაერთვება.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სოფელ ხალაში, ჯემალ კახიძის ოჯახში გაზი აანთო. ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების განმავლობაში, 27 სოფელში განხორციელდა გაზიფიცირება, ბუნებრივი აირი 12 418 აბონენტს მიეწოდება და ეს პროცესი აქტიურად გაგრძელდება. გაზიფიცირების სამუშაოები გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ განხორციელდა.

ქობულეთში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად, ქობულეთის მერმა ლევან ზოიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ფრიდონ ხალვაშის გამზირზე სპორტული მოედნისა და სკვერის მშენებლობა დაიწყო

აქ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში რესან კონცელიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაოშიძე და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე ადგილზე გაეცნენ

პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე და განათების სისტემები, საბავშვო ატრაქციონები, დაიგება მწვანე საფარი. ამ ეტაპზე სპორტული მოედნისა და საბავშვო ატრაქციონებისთვის ტერიტორია ეწყობა. პროექტი, რომლისთვისაც 222 ათას 110 ლარია გათვალისწინებული, ნოემბერში დასრულდება.

- დაპირება შესრულებულია, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე დავიწყეთ სპორტული მოედნისა და რეკრეაციული სივრცის მშენებლობა. აქვე მოეწყობა საბავშვო კუთხე, სადაც განთავსდება ატრაქციონები და ტრენაჟორები. ჩვენთვის პრიორიტეტულია 14-ივე ადმინისტრაციული ერთეულის თანაბრად განვითარება. შესაბამისად, წელს ბათუმში 20 ახალი სკვერის მოწყობას ვგეგმავთ, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 4 ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა და 1-ის რეაბილიტაცია იგეგმება, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

ზაზა შავაძე ქობულეთის მოსახლეობას შეხვდა

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, რომლებსაც მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროგრამები გააცნო. ინფორმაციას აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს

მათი ცნობით, საოჯახო მეურნეობისა და სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2024 წელს 5 მილიონამდე ლარის სუბსიდიას განახორციელებს. ასევე, გაგრძელდება სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება. მიმდინარე წელს, პროგრამის ფარგლებში, 2170 ჰექტარი ფართობი დამუშავდება შესაბამისი აგროვადების მიხედვით.

შეხვედრებს მინისტრის მოადგილეები არჩილ ბერიძე, მირიან ქათამაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ზაალ მიქელაძე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

პარტია „ახალი“ ჯერაც ვერდავიწყებული ძველია?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

პოლიტიკურ ველზე საბრძოლო განწყობით პარტია „ახალი“ შემოვიდა. არცთუ ისე შორეულ წარსულში „ნაციონალური მოძრაობის“ ორი ლიდერი - ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე ნიკა გვარამია და მიხეილ სააკაშვილის პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელია ახლა ამომრჩეველს არწმუნებენ, რომ ყველაფერს სუფთა ფურცლიდან იწყებენ და სრულიად ემიჯნებიან წარსულს

არჩევნებშიც 5-1 ანუ ნომერი 4-ით მიიღებენ მონაწილეობას - თითქოს ამაშიც კი იკითხება „ნაციონალური მოძრაობისგან“ გამიჯვნა. მელიაც და გვარამიაც, მათი თქმით, ყოფილი „ნაციონალები“ არიან, მაგრამ დრო გვაჩვენებს, როგორ მოირგებენ „ყოფილის“ როლს. მხოლოდ ნომრის და ოფისის შეცვლა, მაგრამ პარტიის უმრავლესობაში კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრებისა და მხარდამჭერების ყოფნა რამდენად არის ახალი, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

ორი ნიკას გაერთიანება არ ყოფილა მაინცდამაინც მასშტაბური სიახლე ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის, ასევე, საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც პოლიტიკაში ასე თუ ისე ერკვევა. სამი თვის წინ, როდესაც ნიკა გვარამიამ პოლიტიკური პარტიის შექმნა დააანონსა, იქვე აღნიშნა, რომ არ გამორიცხავდა არცერთ პროდასავლურ პარტიასთან თანამშრომლობას, ბოლოს კი ძმაკაცობამ გაიმარჯვა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ პარტიაში სრულიად ახალი სახეები მოვიდოდნენ, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ პოლიტიკასთან, მაგრამ ასეთი „ახალში“ მხოლოდ თითოოროლაა. ნუ დაგვიწყდება, რომ აქვეა გედევან ფოფხაძეც, რომელმაც „ოცნების“ შემდეგ „ახალის“ გზა აირჩია. არც ზურაბ ადეიშვილის გუნდის წევრი და სალომე ზურაბიშვილის ინტერესების დამცველი მაია კოპალეიშვილი დაგვავიწყდეს.

„ახალის“ წევრები ირწმუნებიან, რომ მათი პარტია საზოგადოებას სხვა ოპოზიციური პარტიებისგან მკვეთრად განსხვავებულ იდეოლოგიას შესთავაზებს. მათი თქმით, ეს იქნება სახალხო, მეინსტრიმული პარტია, რომელიც ხან ხელისუფლებაში იქნება, ხან ოპოზიციაში. როგორც ნიკა მელიამ თქვა, „ახალი“ აპირებს ბრძოლას სიმართლითა და ღირსებით, ამ ეტაპზე მთავარი მიზანი კი 5 %-იანი ზღვრის გადალახვაა.

მთავარი შეკითხვა ის არის, ვის წაართმევს ხმებს ორი ნიკა? ფაქტებით რომ ვისაუბროთ, ერთსაც ბევრი პიროვნული მხარდამჭერი ჰყავს და მეორესაც, თუმცა ერთის მხარდამჭერიც „ნაცი“ ან ყოფილი „ნაცია“ და მეორესიც. საინტერესოა, რამდენად აქვთ მათ „ნაციონალური მოძრაობის“ მიღმა მყოფი ამომრჩევლების მიმხრობის შანსი? კონკრეტულად იმ ადამიანებზეა საუბარი, რომლებიც ხმას სტაბილურად არავის აძლევენ. თუ დავფიქრდებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ამომრჩეველი მათ არ ეყოლებათ და ნებისმიერი ხმა, რომელსაც აიღებენ, იქნება „ნაცმოძრაობისთვის“ წართმეული, ანუ გამოდის, რომ ყოფილი „ნაცები“ ჯერ კიდევ „ნაცებს“ უპირისპირდებიან და ამომრჩეველს წაართმევენ. ალბათ ეს რომ გააანალიზეს „ნაციონალურ მოძრაობაში“, ამიტომაც შეამკეს ახალი პარტია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის კლონი“.

თუ ენმ-ის წევრ ანა წითლიძეს დავუჯერებთ, „ნაციონალური მოძრაობის“ კლონობა არავის გამოსვლია და არც ორი ნიკას გაერთიანება იქნება ასეთი.

რეზო ხარაზი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის წევრია, ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ მთავარი ამ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაა და არ აქვს მნიშვნელობა, ამას პარტია „ახალი“ თუ ვინმე სხვა გააკეთებს. ზოგადად, ყოფილ კოლეგებზე არ მსურს საუბარიო, განაცხადა მან, პარტია „ახალის“ წარმომადგენელი ბათუმიდან გიორგი კირთაძე კი ამბობს, რომ პრინციპებისადმი ერთგულებაა მისთვის ყველაზე მთავარი ამ ქვეყანაში და ამ პრინციპის გამო აღმოჩნდა „ახალშიც“.

„ახალისგან“ რაიმე ახლის მოლოდინი არც ოპოზიციაში აქვთ. მისი წარმომადგენლები პარტია „ახალს“ ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით აყენებენ. ფაქტია, სახელი ერთგვარად შეელახათ ყოფილი მმართველი პარტიის წევრობით, როგორც აღმოჩნდა, ამ „კლიშეებიდან“ თავის დაღწევა ძალიან რთულია.

„საკმაოდ რთულია გამიჯვნა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი მოგწონს და პრობლემა არ გაქვს. კეზერაშვილთან დაკავშირებითაც ხმას არ იღებ. მაშინ 5 ნომერი არ მოგწონდა და ახლა 4 გირჩევნია. ეს უნდა ახსნა თუ რატომ“, - ასე გამოეხმაურა პარტია „გირჩის“ წევრი იაგო ხვიჩია იმ სიტყვებს, რომ პარტია „ახალი“ აღარ არის კავშირში „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

„ნაციონალური მოძრაობიდან“ „გამიჯნულების“ ახალმა პარტიამ ვერ „დაიპყრო“ მმართველი გუნდის გული და მეტიც, „ქართული ოცნება“ მათ კონკურენტად ვერ აღიქვამს. მარტივი მისახვედრია, რომ ახლად შექმნილი პარტია ხმებს წაართმევს სხვა ოპოზიციურ პარტიებს, კიდევ უფრო გაზრდის კონკურენციას მათ შორის და ისინი ერთმანეთის ამომრჩევლებზე ინადირებენ, დაქსაქსული ოპოზიციის ყურება კი მმართველი გუნდისთვის სასიამოვნოა. ოპოზიციის კიდევ უფრო მეტ პარტიებად დანაწევრება „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების მეტ საშუალებას მისცემს.

თუ პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივან მამუკა მდინარაძეს მოვუსმენთ, ყოფილი „ნაცი“ არ არსებობს - „ნაცი“ „ნაცია“. მანვე თქვა, რომ „ნაცის“ „განაცება“ ურთულესი ფსიქოლოგიური მოვლენაა, ისეთი ფსიქიკის მქონე ადამიანები კი საქართველოში არ ცხოვრობენ, რომ „ნაცი“ „არანაცად“ მიიღონ. მოსახლეობა „ნაცებს“„არანაცებად“ მიიღებს თუ არა, ეს მაშინ გამყღავნდება, როდესაც კარზე შემოდგომა მოგვიკაკუნებს და არჩევნები გაიმართება.

„ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი სახეების ახალი საარჩევნო ნომრის ქვეშ გაერთიანებას პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარეც გამოეხმაურა. მათი აზრით, მელია-გვარამიას პოლიტიკურ ერთობას პერსპექტივა არ აქვს, ასე რომ, კრახს უწინასწარმეტყველებენ.

ვარაუდებს რომ თავი დავანებოთ, ფაქტი ესაა - დღეს ქართულ პოლიტიკურ მრავალკუთხედს პარტია „ახალი“ შეუერთდა, მაგრამ თუ ნამდვილად სურს წარმატების მიღწევა, „ნაციონალების“ იარლიყი სასწრაფოდ უნდა მოიშოროს, თუმცა ამას როგორ მოახერხებს, ჯერჯერობით არავინ იცის, დროის ათვლა კი დაწყებულია.

გაიხსნება თუ არა „კარი სამოთხისანი“, ანუ გადალახავს თუ არა ახლად შექმნილი „ახალი“ საარჩევნო ბარიერს, ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის მისაღებად ოქტომბრამდე ლოდინი მოგვიწევს.

> **„ ორი ნიკას გაერთიანება არ ყოფილა მაინცდამაინც მასშტაბური სიახლე ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის, ასევე, საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც პოლიტიკაში ასე თუ ისე ერკვევა. სამი თვის წინ, როდესაც ნიკა გვარამიამ პოლიტიკური პარტიის შექმნა დააანონსა, იქვე აღნიშნა, რომ არ გამორიცხავდა არცერთ პროდასავლურ პარტიასთან თანამშრომლობას, ბოლოს კი ძმაკაცობამ გაიმარჯვა**

ქრონიკა

„მშენებლობა, რომელიც რთულ გეოლოგიურ პირობებში მიმდინარეობს, ბევრი გამოწვევის მიუხედავად, წელს დასრულდება. კიდევ უფრო დიდი ძალისხმევის და გაზრდილი რესურსების პირობებში, შესაძლებელი იქნება აღნიშნული გზის სეზონისთვის გახსნა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბათუმისთვის,“ - განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ბათუმის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აზიის განვითარების ბანკისა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის 329 630 734 ლარის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის ფარგლებში, 14 კმიანი 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, 20 სახიდე გადასასვლელი და ხუთი გვირაბი შენდება. ამ დროისათვის პროექტით გათვალისწინებული ხუთივე გვირაბი გაჭრილია და 20 ხიდიდან აშენებულია 19 ხიდი. მინისტრის განცხადებით, შემოვლითი გზის შინაარსიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ორი კვანძი, რომლითაც ქალაქში შესვლა იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ახალი გზა ქალაქს მაქსიმალურად განტვირთავს.

* * *

ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა დაიწყო. ბათუმის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა სანიაღვრე ქსელი, ტროტუარი და პანდუსები, დამონტაჟდება გარეგანათების სისტემა. ცოტნე დადიანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში რესან კონცელიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე გაეცნენ. პროექტისთვის, რომელიც ნოემბერში დასრულდება, 1 მილიონ 132 ათას ლარზე მეტია გათვალისწინებული.

* * *

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სამშენებლო სამუშაოების შესახებ პრეზენტაცია გერმანულმა საკონსულტაციო კომპანიებმა - Poch & Partner Gmbh da MACS. პროექტის ფარგლებში, ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე (ადლია, კახაბერი, აეროპორტისა და ხელვაჩაურის ინდუსტრიული დასახლებები) შეიქმნება უწყვეტი წყალმომარაგებისა და წყალარინების გამართული სისტემები. დაგეგმილია ჩაქვის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობა, ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის გაფართოება და განახლება, წყალარინების A სატუმბი სადგურის მშენებლობა, წყალარინების B სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, ჩაქვის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია, მეჯინისწყლის ჭაბურღილის გაფართოება წყლის წარმოების სიმძლავრის გაზრდის მიზნით. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობით და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) დახმარებით ხორციელდება და მისი ღირებულება 80 მილიონი ევროა.

* * *

აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის წევრების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც ასოციაციის ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. გურანდა გოგიტიძე, რომელიც ამ დრომდე ღია სივრცეს, „ქალთა ოთახს“ უწევდა კოორდინაციას, 4 წლის ვადით ასოციაციას უხელმძღვანელებს. შეხვედრა ოფიციალურად გახსნა სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე გიორგი რომანაძემ.

* * *

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის უკეთ გასაცნობად და ყველა ინფორმაციის დროულად მისაღებად, ბათუმში აჭარის საკონსულტაციო ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება. როგორც ორგანიზატორები ამბობენ, რეგიონის მეწარმეები ცენტრში ბიზნეს-უნარების გაუმჯობესების კუთხით, ყველა საჭირო მომსახურებას მიიღებენ. დამატებითი ინფორმაციისთვის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე: 1525 ბათუმში აჭარის საკონსულტაციო ცენტრი - ფარნავაზ მეფის/ქუთაისის ქუჩა №8/10 ნომერში გაიხსნა. 2025 წლისთვის მთელს საქართველოში 11 საკონსულტაციო ცენტრი იმოქმედებს.

* * *

საჯარო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია სანაპირო ზოლის აღჭურვა მაღალი ხარისხის გასახდელებით, ზღვაზე ჩასასვლელი ბილიკებითა და თანამედროვე სტანდარტების საშხაპეებით. სასეირნო ბილიკზე განთავსდება 20 ახალი სასმელი წყლის შადრევანი, 32 გასახდელი, 30 საშხაპე, 830 გრძივი მეტრი ხის ბილიკი. სამ ლოკაციაზე სრულად განახლდება ინფრასტრუქტურა შშმ პირთათვის, აღიჭურვება პანდუსებითა და სანაპიროზე გადასასვლელი ბილიკით. დასვენებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა ბაღის ვიზიტიორების საჭიროებებზე სრულად იქნება მორგებული. სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის განახლება, ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის შესაბამისად, ეტაპობრივად განხორციელდება. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 32 ერთეული გასახდელის შესყიდვა.

* * *

ქედის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ვერძაძე და მერის წარმომადგენელი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რევაზ ვარშანიძე სოფელ ზუნდაგის, ქვედა ბზუბზუს და ზედა ბზუბზუს მოსახლეობას შეხვდნენ. პროგრამის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტში 750000 ლარია. თანხები ოჯახების რაოდენობის მიხედვით ნაწილდება. მოსახლეობა თავად გადაწყვეტს, თუ გამოყოფილი თანხები რა პროექტს მოახმარონ. სამივე სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, დამსწრეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, თანხები გარე განათებას და საავტომობილო გზის მოწყობას მოხმარდება. პროგრამით გათვალისწინებული თანხების მიზნობრივად, მოსახლეობის სურვილისამებრ განკარგვისათვის შეხვედრები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში იმართება. კრებებს საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები ესწრებიან. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები 15 მარტს დასრულდება.

* * *

წელს ხულოს მუნიციპალიტეტს აჭარის მთავრობის განკარგულებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებისთვის 1 002 000 ლარი გამოეყო. პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. საკონსულტაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის 83-ივე სოფელში 14 მარტის ჩათვლით ჩატარდება.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

ვის რა შანსი აქვს არჩევნებში?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საპარლამენტო არჩევნების მუხტი ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია. ყველას აინტერესებს, როგორ წარიმართება არჩევნები, შეძლებს თუ არა მმართველი პარტია მეოთხეჯერ მმართველობაში დარჩენას და რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება?

რა თქმა უნდა, ამ საკითხზეც აზრთა სხვადასხვაობაა. ის კი უდავოა, ევროპულ გზაზე წარმატებით რომ გავიდეთ, მოქნილი პოლიტიკაა საჭირო.

საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებულ არჩევნებს რომ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არახალია. სწორედ არჩევნების შემდეგ ახალი მმართველი პარტია აყალიბებს საშინაო და საგარეო კურსს. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანას მეოთხე მმართველი პარტია („მრგვალი მაგიდა“, „მოქკავშირი“, „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“) მართავს, ჩვენი საგარეო კურსი არ შეცვლილა, რაც ამტკიცებს, რომ საქართველოს მიზანი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაა. მოახლოებული არჩევნები უფრო იმის მაჩვენებელი იქნება, რამდენად ჩამოვყალიბდით როგორც სამოქალაქო საზოგადოება და როგორ გვაქვს გაცნობიერებული ჩვენი როლი ქვეყნის აღმშენებლობაში, ასევე, საქართველოს ადგილი გეოპოლიტიკურ მოცემულობაში. ამ მხრივ კვლავ ჩნდება კითხვები - შეძლებს თუ არა მმართველი პარტია დამაჯერებელ გამარჯვებას არჩევნებში, რა სტადიაშია ოპოზიციური სპექტრი და რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის შექმნა? არჩევნების მოლოდინში პოლიტიკური პარტიები უფრო და უფრო აქტიურდებიან, იმართება შეხვედრები... ამ მხრივ მმართველმა გუნდმა ყველა უკან ჩამოიტოვა, ოპოზიცია კი, ასე ვთქვათ, სატელევიზიო ოპოზიციად გადაიქცა... ამას ექსპერტებიც აღნიშნავენ.

მეთორმეტე წელია, რაც „ქართული ოცნება“ მმართველობაშია. ზოგისთვის (რასაკვირველია, ოპოზიციისთვის) მიუღებელია ხელისუფლების მოღვაწეობა. მათ ეჭვი ეპარებათ, რომ ამჟამინდელი მთავრობის პირობებში შესაძლებელია ჯერაც გადაუჭრელი პრობლემების (არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, სასამართლო სისტემის ნაკლოვანებები) მოგვარება. ბევრს სჯერა მოქმედი ხელისუფლების დაპირების და მიიჩნევს, რომ რახან სახელისუფლო გუნდის წევრებმა ამოდენა პასუხისმგებლობა იკისრეს, ვალდებულნი არიან, ქვეყნის სოციალური ფონი უკეთესობისაკენ შეცვალონ, ეს უნდა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, მათდამი ნეგატიურად განწყობილთა რიცხვი გაიზარდოს.

როგორია არსებული ხელისუფლების ნაბიჯები? მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ მათ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და ეს, უპირველესად, სამართლიანობის დამკვიდრებაა ქვეყანაში, ასევე, თავისუფალი მედია, გაზრდილი ბიუჯეტი, დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება მეზობლებთან... უმთავრესი ის გახლავთ, რომ ქვეყანამ აიცილა ომი რუსეთთან... ხელისუფლების წევრები აცხადებენ, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ სხვადასხვა ძალა ცდილობს, საქართველო საომარ კონფლიქტში ჩართონ რუსეთთან, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სავალალო იქნება. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ დასავლეთი, გარკვეულწილად, წელავს ომს უკრაინაში. ამას დღეს თითქმის ყველა ობიექტური ექსპერტი აღიარებს და დასავლეთს მოუწოდებს, რუსეთს რეალური სანქციები დაუწესოს და არა - მსუბუქი... თუმცა ეს სხვა თემაა და მასზე საუბარი სხვა დროს გავაგრძელოთ.

სხვათა შორის, ამჟამინდელი ხელისუფლების მომხრეები მას იმის გამოც აკრიტიკებენ, რომ არ გაასამართლა „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც დამნაშავე პარტია. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას აწყობს „ნაცმოძრაობის“ ასეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რათა თავისი წარუმატებლობა მის დესტრუქციულ ქმედებებს გადააბრალოს, რისი ქვეტექსტიცაა - თუ მმართველ პარტიას არ აირჩევთ, ყოფილი რეჟიმი დაბრუნდება, რაც ექსპერტთა თქმით, სრული აბსურდია.

„ნაცმოძრაობის“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა, ამიტომ მისი ხელისუფლებაში მოსვლა ნაკლებად მოსალოდნელია, მით უფრო, რომ ეს პარტია, როგორც ცნობილია, რამდენიმე გავლენიანმა წევრმა დატოვა... და მაინც, ჯერჯერობით პოლიტიკურ ველზე ორ ანგარიშგასაწევ ძალას შორის ერთი მაინც „ნაცმოძრაობაა“. განვლილმა არჩევნებმაც ცხადყო, რომ პირველ და მეორე ადგილს ეს პარტიები ინაწილებენ. რა იქნება ამჯერად, ანუ 2024 წლის არჩევნებში? როგორც ცნობილია, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები იმითაც საყურადღებოა, რომ იგი მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარდება, თუმცა საარჩევნო ბლოკების შექმნა აკრძალულია, ხოლო ბარიერი 5 პროცენტია, რაც, გარკვეულწილად, მმართველი გუნდის წისქვილზე ასხამს წყალს. 5-პროცენტიან ბარიერს, სავარაუდოდ, ოთხი პარტია (მმართველი პარტია, „ნაცმოძრაობა“, „საქართველოსთვის“ და „ლელო საქართველოსთვის“) გადალახავს. ამ ოთხმა პარტიამ საერთო ჯამში თუ ხმების 80 პროცენტი აიღო, დანარჩენი 20 პროცენტიც იმ შემთხვევაში, თუ სხვა პარტიებმა ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, გამარჯვებულ პარტიაზე გადანაწილდება. ასე რომ, შესაძლებელია 40 პროცენტით მხარდაჭერილმა პარტიამ (ამ შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“) საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს პარლამენტში. ამიტომაც პოლიტიკურ ველზე მნიშვნელოვანი გადაადგილება ხდება. მაგალითად, „ნაცმოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ახალი პლატფორმა შექმნეს, ასევე, პარტია „ახალი“ ჩამოაყალიბეს ყოფილმა „ნაცებმა“ ნიკა გვარამიამ და ნიკა მელიამ. ამ გაერთიანებას მმართველი პარტიის წევრებმა მკვდრადშობილი უწოდეს. „არავითარი ახალი პარტია ეს არ არის. ესაა „ნაცმოძრაობის“ დანამატი, მათ არავითარი შანსი არჩევნებში არ აქვთ. არჩევნებში მათ მოსახლეობა საკადრის პასუხს გასცემს“, - აცხადებს მმართველი პარტიის წევრი გიორგი ვოლსკი. ანალოგიური შეხედულებისაა, ექსპერტი გელა ირემაძეც, მისი თქმით: „პარტია, „ახალი“ ძირითადად, ხმებს „ნაცმოძრაობას“ წაართმევს. მოსახლეობის გულის მოგება არც ისე ადვილია, ამას სჭირდება თანმიმდევრული მუშაობა, გასაგებ ენაზე დაწერილი გზავნილები, რეგიონების მოსახლეობასთან შეხვედრები და ჩამოყალიბებული გეგმა. მარტო იმის თქმა, რომ ხელისუფლება არ ვარგა, არაფრის მომცემია. თუ პარტია „ახალი“ სწორ სტრატეგიას შეარჩევს და რეალურად გაემიჯნება „ნაცმოძრაობას“, შესაძლოა საარჩევნო ბარიერი გადალახოს“.

ამ პარტიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მიხეილ სააკაშვილსაც, რომელმაც არაორაზროვნად განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობის“ კლონირება უშედეგო იქნება მათთვის, ვინც ამას შეეცდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბები ხდება სხვა ოპოზიციურ ფლანგზეც. ახალი პლატფორმის შექმნის ინიციატივით გამოვიდა „ლელო საქართველოსთვის“, რომლის მიზანია მესამე ძალის ფორმირება ქვეყანაში, რათა მოსახლეობამ არჩევანი ახალ ძალაზე გააკეთოს.

> ***„არცერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია დეტალურად, ხალხის ენაზე, გასაგებად დაწერილი არც საარჩევნო გეგმა და არც სამოქმედო ტაქტიკა. ეს არის უმთავრესი ხარვეზი, რომელიც გამოსასწორებელია. ამ კუთხით ძალიან შორს ვართ ევროპული პარტიებისგან, რასაც ემატება უცოდინარობა და პარტიების ურთიერთდაპირისპირება, რამაც ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით დააზარალა***

სხვათა შორის, თუ ჩატარებულ არჩევნებს დავაკვირდებით, ელექტორატის დაახლოებით 45 პროცენტი არ მონაწილეობს არჩევნებში. თუ ამ სეგმენტის დარწმუნებას შეძლებს ოპოზიცია, მაშინ, ცხადია, მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ, მაგრამ ამ მხრივ ექსპერტები მნიშვნელოვან გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას: არცერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია დეტალურად, ხალხის ენაზე, გასაგებად დაწერილი არც საარჩევნო გეგმა და არც სამოქმედო ტაქტიკა. ეს არის უმთავრესი ხარვეზი, რომელიც გამოსასწორებელია. ამ კუთხით ძალიან შორს ვართ ევროპული პარტიებისგან, რასაც ემატება უცოდინარობა და პარტიების ურთიერთდაპირისპირება, რამაც ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით დააზარალა.

შემოდგომა საქართველოში ყოველთვის პოლიტიკურად დატვირთულია, გამონაკლისი არც წლევანდელი იქნება. პარტიები აქტიურობენ, იმართება შეხვედრები, ოპოზიცია საუკეთესო შედეგებისკენ გზების ძიებაშია. ზოგი ერთიანდება, ზოგი კი ოპოზიციისვე ნაწილს ხელისუფლების დანამატად მოიხსენიებს. მაგალითად, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობა“ მარტივ მამრავლებად დაიშალა. გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ კი მმართველი პარტიის დანამატია, მხოლოდ მისი პარტიაა რეალური ოპოზიცია და შეუძლია ქვეყნის აღორძინება.

თავის მხრივ, ამ პარტიას მმართველი გუნდი კომენტარის ღირსადაც არ თვლის. დიდად კეთილგანწყობილი არც ოპოზიციის ნაწილია „ლეიბორისტული პარტიის“ მიმართ. სამაგიეროდ, მმართველი პარტია ერთ მუჭადაა შეკრული და მოსახლეობას ქვეყნის განვითარების გეგმას აცნობს. უმთავრესი გზავნილია „ნული სიღარიბე და ნული ოკუპაცია“. ასევე, როგორც ითქვა, განხორციელდება მეგაპროექტები სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით. ცხადია, შენარჩუნდება ევროპული კურსი, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა ოპოზიცია სკეპტიკურად უყურებს მმართველი პარტიის ამ დაპირებებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. თუ ჩვენ დემოკრატიის ტესტს სანიმუშოდ ჩავაბარებთ, ანუ არჩევნებს ევროპული სტანდარტების შესაბამისად ჩავატარებთ, ეს გაგვიღებს კარს ნატოსა და ევროკავშირში. იმედია, საარჩევნო მარათონი და არჩევნები მშვიდობიან გარემოში სამართლიანად ჩაივლის, პარტიები კი სახელმწიფოებრივად იაზროვნებენ და იმოქმედებენ, ანუ დამარცხებული შეეგუება დამარცხებას, გამარჯვებული კი გაითვალისწინებს დამარცხებული პარტიების აზრს და მათთან კონსტრუქციულად ითანამშრომლებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. სწორედ ამას მოგვიწოდებს დასავლეთი. იქ, როგორც ცნობილია, ხელისუფლება კოალიციურია, ყველა პარტიის, ჯგუფის ინტერესები გათვალისწინებულია, ანუ ევროკავშირის ქვეყნებში ხელისუფლება პატარ-პატარა პარტიებს არ რიყავს საქვეყნო საქმეებიდან, ზოგიერთს მინისტრის პორტფელსაც გადასცემს, რამაც დასავლეთი ეკონომიკური კეთილდღეობის, სამართლიანობის სივრცედ აქცია. რაც უფრო მეტად გაითავისებენ ამას ჩვენი პოლიტიკოსები, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

ექნებათ ფერმერებს ჯანსაღი ჩითილები?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მალე ქედის, შუახევის, ხულოს უმეტეს სოფლებში ხვნა-თესვის კამპანია მასიურად დაიწყება. საადრეო კარტოფილის თესვა უკვე დაიწყეს ელელიძეებში, დუაძეებში, ვაშლოვანში, ოქროპილაურში, დაბაძველში, ლაკლაკეთში, მარეთისა და ჭვანის ზოგიერთ სოფლებში

მაღალი ხარისხის თესლი, გარემო პირობებზე აპრობირებული მრავალწლიანი კულტურების ნერგები და ჯანსაღი ჩითილი რომ უხვი მოსავლის საწინდარია, ეს კარგად იციან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა. ამიტომაც იმყოფებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა, სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე, დარგობრივი და აგრარული ექსტენციების განყოფილებების უფროსები ჯიმშერ დიასამიძე, ზურაბ ვარშანიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე და მერის მოადგილე გურამ ზოიძე შუახევის საჩითილე სათბურში, გორგოვლის ხეხილის და ახალდაბის ვაზის სანერგეებში.

საჩითილე სათბურში უკვე ჩათესილია „მანუსას“ ჯიშის პომიდორი. მათი სტუმრობის დღეს ითესებოდა ტკბილი წიწაკა, მალე დაითესება ბადრიჯანი და ბროკოლი. წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ჩითილების სარეალიზაციო ფასები. სტუმრებმა სათბურისა და სანერგეების პერსონალს მოუწოდეს, რომ დაიცვან ჩითილისა და ნერგების გამოყვანა-მყნობის ვადები, ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ადგილობრივი ხეხილის ჯიშების გავრცელებას. ითქვა, რომ გასულ წლებში „მანუსას“ ჯიშის პომიდორმა გაამართლა და შუახევის სანერგეში გამოყვანილ ნერგებზე მოთხოვნა წელსაც იქნება.

სტუმრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე განმარტებებს აძლევდნენ საჩითილესა და სანერგეებში დასაქმებული სპეციალისტები.

საქმიან შეხვედრებსა და მიმდინარე სამუშაოებზე კომენტარი ვთხოვეთ ირმა აფხაზავას.

- ნანახმა დაგვარწმუნა, რომ მუნიციპალიტეტებში ფერმერები აქტიურად შეუდგნენ საგაზაფხულო სამუშაოებს. მოვინახულეთ აგროსერვისცენტრის ბაზაზე არსებული საჩითილე სათბური, სადაც გამოჰყავთ ერთწლიანი ბოსტნეული კულტურების ჩითილები, რომლებზეც აჭარის მასშტაბით მოთხოვნა დიდია. აქ გამოყვანილი ჩითილები უხვ მოსავალს იძლევა და მათი გაშენება ფერმერებისთვის მომგებიანია. შარშან თავად ვნახე, როგორი უხვი მოსავალი მიიღეს ფერმერებმა აქედან გატანილი ჩითილების გაშენებით. ზოგიერთმა ერთ ძირზე 7-8 კილოგრამი პომიდორი მიიღო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აჭარა ტურისტულ ჰაბად იქცა. ადგილობრივ, ეკოლოგიურად საღ და ბიოლოგიურად საიმედო ბოსტნეულზე ტურისტების მოთხოვნა დიდია. ქართული პროდუქცია კონკურენტუნარიანია და იმპორტირებულს მნიშვნელოვნად შეამცირებს, ადგილობრივებსაც შემოსავალი გაუჩნდებათ, - გვითხრა მინისტრის მოადგილემ.

„ჩემი მოლოდინით, 2024 წლის მთავრობა აუცილებლად კოალიციური იქნება“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენი ქვეყანა არჩევნების მოლოდინშია და არაერთი გამოწვევის წინაშე დგას - სოციალური, ეკონომიკური ყოფა მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს, პოლიტიკური ველი კი მნიშვნელოვნად უნდა გაჯანსაღდეს, ამაღლდეს დემოკრატიის ხარისხი, ცივილურ წესებს უნდა დაემორჩილოს მთელი პოლიტიკური სპექტრი, როგორც პოზიცია, ისე ოპოზიცია

ქვეყნის ევროინტეგრაცია - ესაა ჩვენი გზა და მისწრაფება, ევროსტრუქტურებში კარის გაღებას კი მაშინ შევძლებთ, როცა გავაცნობიერებთ, რომ არჩევნები სამართლიანად, დემოკრატიულად უნდა ჩავატაროთ. ამ პროცესში რა როლი ეკისრება ოპოზიციას? როგორ აფასებენ მისი წარმომადგენლები ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს? - ამის თაობაზე პარტია „დროას“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ***გენრი დოლიძეს*** *ვესაუბრეთ.*

- როგორ დაახასიათებდით არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას?

- ქვეყანაში დემოკრატია „აპარატზეა შეერთებული“ და მისი გადარჩენის ერთადერთი გზა ხელისუფლების განაწილება, ძალთა ბალანსი და მრავალპარტიული მმართველობაა. ახლახან გამოქვეყნდა აუდიტის ძალიან მძიმე დასკვნები აჭარის მუნიციპალიტეტების მუშაობის ხარვეზებზე. მაგალითად, ხელვაჩაურის მერიაში იმდენი მიმართულებით აღმოაჩინეს მძიმე დარღვევები, რომ, მგონი, მხოლოდ დამლაგებელი და მდივანი მუშაობს პატიოსნად (თუ ისინიც ნეპოტიზმით არ ჰყავთ სამსახურში აყვანილი). იმდენად ჩამონგრეულია სისტემა, რომ თვითონ სახელისუფლებო აუდიტიც ვერ მალავს პრობლემების კასკადს: ბიუჯეტში დარჩათ აუთვისებელი ფული, ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვერ სრულდება, ხარვეზებია პროექტების დაგეგმარებასა და მათი განხორციელების კონტროლში, ბუნდოვანი სქემებით იხარჯება ბიუჯეტი - მათ შორის, ხელფასებში. ეს მხოლოდ ერთი მუნიციპალიტეტის მაგალითია. ასე იხრწნება სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინოვნიკები ანგარიშვალდებულები არიან არა ხალხის, არამედ მმართველი პარტიის წინაშე, რადგან მათზე არ არსებობს კონტროლის არანაირი მექანიზმი, ეს ყველაფერი კი ერთპარტიულმა მმართველობამ მოიტანა, როცა ძალაუფლების ყველა ბერკეტი თავმოყრილია ერთი კაცის ხელში და არ არსებობს მისი შეჩერების, მისი ვნებების ალაგმვის არანაირი საშუალება. საქართველოში საბოლოოდ უნდა დასრულდეს ერთპარტიული მმართველობა და უნდა შედგეს ძალთა ბალანსი, რომ ვერასდროს, ვეღარავინ შეძლოს მთელი ქვეყნის საკუთარი შვილის სათამაშო ოთახად გადაკეთება.

- ოპოზიციის დანიშნულებაა ხელისუფლების კონტროლი და რჩევების მიცემა სხვადასხვა საკითხზე. ამ მხრივ თქვენი პარტიის და, ზოგადად, ოპოზიციური სპექტრის არგუმენტები რამდენად დამაჯერებელია?

- ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც განსხვავებულ აზრს, უმცირესობის პოზიციას, ოპოზიციის არგუმენტებს ისმენს და ითვალისწინებს ხელისუფლება. ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პოლიტიკური დისკურსი ჩაკლა რუსული მოდელის ჰიბრიდულმა რეჟიმმა, რომელმაც არსებობის სივრცე არ დაუტოვა ჯანსაღ პოლიტიკურ დისკურსს. პარლამენტიდან დაწყებული, საკრებულოებით დამთავრებული, ოპოზიციის მოსაზრებას არათუ არ ითვალისწინებს ხელისუფლება, არამედ არც ისმენს. ხშირად გამიგონია: რა გინდათ აქციებზე, შედით პარლამენტში, გამოიყენეთ ტრიბუნა! როგორ უნდა გამოიყენო, როცა ოპოზიციას კანონპროექტს არ ურეგისტრირებენ? არ გააქვთ არცერთი დამოუკიდებელი ინიციატივა, არცერთი სასიკეთო საკითხი, რომელიც „ოცნების“ წიაღში არ იბადება. პარლამენტში ხარ, მაგრამ ხარ ბუტაფორიულად. თუ ოპოზიციონერ დეპუტატს წაართმევ ყველა ბერკეტს, ყველა უფლებას და მხოლოდ სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობას დაუტოვებ, რა აზრი აქვს მაშინ პარლამენტში ყოფნას?! მხოლოდ სალაყბოდ და საფიხვნოდ იქცა ქვეყნის უზენაესი წარმომადგენლობითი ორგანო. ვფიქრობ, ჩემი პოლიტიკური პარტიის პოზიცია ყველაზე თანმიმდევრული და დამაჯერებელია. არ შევიდა ელენე ხოშტარია ბუტაფორულ პარლამენტში, უარი თქვა ყველა პრივილეგიასა და ბენეფიტზე, რაც დეპუტატობას ახლავს. ეს მისი უცვლელი პოზიციაა თავიდან მოყოლებული დღემდე. შესაბამისად, მის ირგვლივ გაერთიანდა ის ძალები, ვისთვისაც ქვეყნის მომავალზე ზრუნვა ასოცირდება შრომასა და ბრძოლასთან და არა პრივილეგიებთან, ფუფუნებასთან და თბილ სავარძელთან.

- ხელისუფლების წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ ოპოზიციურ პარტიებს და აცხადებენ, რომ ისინი დესტრუქციულად მოქმედებენ სახელმწიფოზე. ისინი თვლიან, რომ სწორედ მათი დამსახურებაა ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება...

- ერთადერთი, ვინც ამ ქვეყანაში დესტრუქციულად მოქმედებს, ეს არის რუსული ძალა, წარმოდგენილი ველური ძალადობრივი „ალტ-ინფოს“ ჯგუფით და შედარებით უკეთესად ჩაცმულ-დავარცხნილი მმართველი პარტიით... მათი მთავარი მიზანია, ქვეყანა ააცდინონ მის ბუნებრივ, პროდასავლურ ვექტორს და როგორმე საბჭოურ-რუსულ რელსებზე გადაიყვანონ. ჩვენი ქვეყნის ახლანდელ მდგომარეობას შევადარებდი თბილისი-ბათუმის „შტადლერის“ ჩქაროსნულ მატარებელს, რომელიც ევროპაშია დამზადებული და შეუძლია, დედაქალაქამდე მანძილი საათ-ნახევარში დაფაროს, მაგრამ მოძველებული საბჭოური რელსების და დამპალი „შპალების“ გამო ამას ხუთ საათს ანდომებს. ასეა მოწყობილი ჩვენი სახელმწიფოც - შეუძლია უსწრაფესი ტემპით განვითარდეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, სამუდამოდ გამოვცვალოთ „რუსული რელსები“, „ქართული ოცნების“ პირობებში კი ერთი დაჟანგული ლიანდაგის ჩანაცვლება ხდება ზუსტად იგივე ყალიბზე ჩამოსხმული უვარგისი ლიანდაგით, ბახტაძე იცვლება გახარიათი, გახარია - ღარიბაშვილით, ღარიბაშვილი - კობახიძით, სურათი კი არ იცვლება: ისევ გაღატაკებული, იმედდაკარგული ერი ვართ, რომელიც ჩემოდნებზე ზის ემიგრაციაში გასაქცევად.

- თქვენ სახელისუფლო ცვლილებებს შეეხეთ, რასაც ექსპერტთა და ოპოზიციის ნაწილში სხვადასხვა შეფასება მოჰყვა. რას ფიქრობთ ამ გადაწყვეტილებებზე?

- ამ ქვეყანას სახელისუფლებო ცვლილება ვერ უშველის, საჭიროა ხელისუფლების ცვლილება, მაგრამ ამჯერად სისტემაც უნდა შეიცვალოს. „ოღონდ ესენი წავიდნენ და ვინც გინდა, ის მოვიდეს“ - ეს ფორმულა არ მუშაობს ამ ქვეყანაში. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უნდა გავისტუმროთ, მაგრამ დამზღვევი იმისა, რომ მომავალი მთავრობა უარეს უმსგავსობებს ვეღარ ჩაიდენს, სწორედ ძალთა ბალანსი და დამოუკიდებელი სასამართლო უნდა იყოს.

- პოლიტიკოსის შემფასებელი მოსახლეობა და ისტორიაა. „ენდიაის“ ბოლო კვლევით, მოსახლეობის 40 პროცენტი არცერთ პარტიას არ ენდობა. ეს რისი მანიშნებელია?

- ეს იმის ნიშანია, რომ ხალხი დაიღალა 30-წლიანი დაუსრულებელი პოლიტიკური ბატალიებით. მე არ მჯერა კოლექტივების, არც იმის, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში არსებობს შეუცდომელი პოლიტიკოსი, ან იდეალური პარტია. მე მჯერა, რომ თუ სისტემა იქნება ჯანსაღი და ხალხი - ფხიზლად, ვერცერთი პოლიტიკური პარტია ვერ მოგვატყუებს და თუ მოგვატყუებს, მოუწევს პასუხისგება. ზღაპარში არ ვცხოვრობთ, „აი, ამათ ვენდობი, ავირჩიე და ახლა წავალ, ოთხი წელი კარგად გამოვიძინებ“ - ეგრე არ ხდება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ ის არის ხელისუფლების წყარო ამ ქვეყანაში. ყველა მთავრობა უნდა ავირჩიოთ „გამოსაცდელი ვადით“. კრიტიკული და ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში პოლიტიკოსს არასოდეს ექნება განცდა, რომ მისი ძალაუფლება და სავარძელი სამუდამოა... ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი სახუმარო სიმღერა - „ასლან ბაბუს ფიქრები: ვიქნები და ვიქნები“, პირველივე შეცდომაზე რომ პასუხს აგებინებ ხელისუფალს, უფრო ფრთხილად და დაკვირვებულად მოიქცევა.

- ამ ბოლო დროს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და მმართველი პარტია ერთმანეთს აკრიტიკებენ. რეალურად რა გახდა მათი დაპირისპირების მიზეზი?

- პოლიტიკაში ყველაფერი ხდება. ზოგჯერ, რომ ვერ წარმოგვიდგენია და ფანტაზია რომ ვერ გაწვდება, ისეთი ჩახლართულია სიუჟეტი, ბავშვიც რომ არ დაიჯერებს, ისეთი პრიმიტიული და სწორხაზოვანი... ექსპერტი არ ვარ და ვერ ვივარაუდებ, ამ პროცესის უკან რეალურად რა დგას. უბრალოდ, შემიძლია ვთქვა, რომ ის, რასაც სალომე ზურაბიშვილი აკეთებს ბოლო ორი წელია, ნამდვილად სასარგებლოა ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის, ხოლო „ოცნების“ ლიდერების პოლიტიკა - უდავოდ, საზიანო.

- რამდენად მოსალოდნელია, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს?

- ესეც პოლიტიკური სერიალის ერთ-ერთი ჩახლართული ეპიზოდია. შესაძლებელი და მოსალოდნელი ყველაფერია. სალომე ზურაბიშვილს მოუწევს სამართებლის პირზე გავლა, რომლის ორივე მხარეს პოლიტიკური უფსკრულია. დაველოდოთ, როგორ გაივლის პრეზიდენტი ამ ბეწვის ხიდს.

- ოპოზიციურ ფლანგზე ვხედავთ გარკვეულ გადაადგილებებს, ცალკეა „ნაცმოძრაობა“-„სტრატეგია აღმაშენებლის“ პლატფორმა, ასევე, „ლელო საქართველოსთვის“, „საქართველოსთვის“. თქვენს პარტიაზე რა შეიძლება ითქვას?

- „დროა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“ უკვე წელიწადზე მეტია, რაც გაერთიანდა. ამ ალიანსის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ხანგრძლივი დისკუსია ამ ორი პარტიის მესვეურებს შორის. ჩვენ არ ვატყუებთ ამომრჩეველს, ჩვენი ერთობა არ არის ხელოვნური. იგი ემყარება იდეოლოგიურ თანხმობას. ჩვენ შევაჯერეთ პარტიული ხედვა ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე და მხოლოდ ამის შემდეგ წარვუდგინეთ საზოგადოებას ახალი პლატფორმა.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ საზოგადოება ოპოზიციის გააქტიურების მოლოდინშია. რა სტადიაშია ამჟამად ოპოზიციური სპექტრი?

- ოპოზიციაში მიმდინარეობს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი პროცესები - ერთი მხრივ, ინდივიდუალური ხედვისა და ვექტორების გამოკვეთა და მეორე მხრივ - კონსოლიდაცია და ძალთა გაერთიანება.

- ოპოზიციის და მმართველი პარტიის ურთიერთბრალდებები, უმეტესწილად, ევროკავშირის 9 რეკომენდაციას უკავშირდება. რა მოცემულობაა ამ მიმართებით?

- ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ქართულში არსებობს ზმნის უნიკალური ფორმა, რომელიც გამოხატავს უნებურ მოქმედებას: „შემომელახა, შემომეჭამა, შემომატყდა, შემომეხარჯა“, ზუსტად ასე შემოესტატუსა ევროკავშირის კანდიდატობა „ოცნებას“ და ახლა აღარ იცის, რით შეაჩეროს ქართული საზოგადოების უპრეცედენტო ერთობით დაწყებული შეუქცევადი პროცესი. მმართველი პარტია, ტრადიციულად, ყველაფერს იღონებს, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი ჩავარდეს, დღევანდელ ოპოზიციას კი ყველაფერი შეიძლება დაუწუნოს ადამიანმა, მაგრამ ყველაზე მატყუარა და ცილისმწამებელიც კი ვერ დააბრალებს, რომ, ხალხთან და პრეზიდენტთან ერთად, მათ ევროინტეგრაციისთვის ცოტა გააკეთეს.

- მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს შორის თუ ხედავთ ისეთს, რომელსაც შესწევს უნარი, რეალურ მესამე ძალად მოგვევლინოს?

- ვფიქრობ, რომ „მესამე ძალა“ ოცნების შემოგდებული ნარატივია... ხალხშია, ერთიანობაშია ძალა და არა რომელიმე ერთ პარტიაში, არსებულსა თუ ჯერ არშექმნილშიც. ახალი დომინანტისა და მესიის ძიებას უნდა შევეშვათ. პირიქით, ძალთა ბალანსსა და მომავალი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმზე უნდა ვიფიქროთ და არასოდეს დაგვიწყდეს, რომ ხალხი თუ არ იქნება ფხიზლად, ნებისმიერი ხელისუფლება მოდუნდება და გაექცევა მართვის სადავეები.

- რვა თვე დარჩა საპარლამენტო არჩევნებამდე. ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა ინდიფერენტულია, პასიური ამომრჩევლის ხმა რომელი პარტიისკენ წავა და რას აკეთებს მათ მისამხრობად ოპოზიცია?

- ზოგადად, ოპოზიციის მოქმედებას ვერ შევაფასებ, მაგრამ ჩვენს გუნდზე შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან აქტიურია ამ მიმართულებით. „დროა-გირჩის“ გუნდი მუშაობს ორ ყველაზე მთავარ სეგმენტთან - ემიგრანტებსა და ახალგაზრდებთან. გარდა იმისა, რომ ახალგაზრდულ ბანაკებს, შეხვედრებს და სხვადასხვა ღონისძიებას ვატარებთ ამ ამომრჩევლების გასააქტიურებლად, ჩვენი ჩართულობით მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 67 ქალაქში გროვდება ემიგრანტების ხელმოწერები ახალი საარჩევნო უბნების გასახსნელად, რათა მათ ასობით კილომეტრის გავლა არ მოუწიოთ მოქალაქეობრივი პოზიციის დასაფიქსირებლად.

- უნდა ველოდოთ თუ არა წელს კოალიციური მთავრობის შექმნას?

- ჩემი მოლოდინით, 2024 წლის მთავრობა აუცილებლად კოალიციური იქნება. მაჟორიტარული სისტემის გაუქმება განაპირობებს იმას, რომ არცერთ არსებულ პოლიტიკურ პარტიას და ალიანსს არ შეუძლია მანდატების 50%-ზე მეტის მოპოვება. საზოგადოების მთავარი ამოცანაა, წლის ბოლოს დავაკომპლექტოთ პროდასავლური ძალების კოალიციური მთავრობა.

- სხვათა შორის, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი არ გამორიცხავს რიგგარეშე არჩევნებს. რამდენად მოსალოდნელია ამგვარი სცენარი?

- ვფიქრობ, ამისთვის სამართლებრივად ძალიან ცოტა დრო რჩება, შესაბამისად, ასეთი სცენარი გამორიცხული მგონია.

- დაბოლოს, დღეს ხშირად საუბრობენ მოახლოებული არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება-ჩაუტარლობის შესახებ, ეს იქნება თუ არა ტესტი დემოკრატიის თვალსაზრისით?

- ვფიქრობ, რომ ეს იქნება ყველაზე დაძაბული და ძალადობრივ ფონზე ჩატარებული არჩევნები, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელისუფლების გადარჩევა არ ხდება. ძალაუფლება მიტაცებული აქვს პუტინისტურ რეჟიმს და ის ყველა ღონეს იხმარს, რომ პროცესი იყოს უკიდურესად ბინძური და მტკივნეული, რადგან თუ საქართველოს დაკარგავს გავლენის ველიდან - ეს მოხდეს ჩვენი მაქსიმალური დანაკარგით და შელახული საერთაშორისო რეპუტაციით, თუმცა მინდა საზოგადოებამ ისიც იცოდეს, რომ არსებობს ბერკეტები, რომელთა მეშვეობითაც შევძლებთ, საარჩევნო უფლება და მომავალი ვერ წაგვართვას „ქართულმა ოცნებამ“. წელს საერთაშორისო დამკვირვებლები შეისწავლიან და მეთვალყურეობას გაუწევენ არა მხოლოდ კენჭისყრის დღეს, არამედ წინასაარჩევნო გარემოსაც, არა მხოლოდ საარჩევნო უბანს, არამედ მიმდებარე ტერიტორიასაც. გარდა ამისა, წლევანდელი არჩევნები იქნება ელექტრონული და პარტიული დავალების შემსრულებელი კომისიის წევრები ვეღარ შეძლებენ ციფრებით მანიპულირებას, ოქმების გადასწორებას, სასურველი ციფრების ჩაწერას და ასე შემდეგ, ასევე - ოპოზიციაც და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებიც წინასწარ მუშაობენ სავარაუდო გაყალბების, „შავი ხვრელების“ პოვნასა და მათი რისკების შემცირების მექანიზმებზე.

საკმარისია თუ არა ბიზნესის ადმინისტრირების შესასწავლად სამი წელი?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ბიზნესის ადმინისტრირების სწავლება სამწლიანი გახდა. ცვლილება შეეხო მაგისტრატურასაც: სტუდენტები, ორი წლის ნაცვლად, მაგისტრატურაზე მხოლოდ ერთი წელი ისწავლიან

საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შესაბამისი დარგის ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე, სტუდენტების საუკეთესო ინტერესების დაცვით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრ გიორგი ამილახვარის გადაწყვეტილებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უკვე არსებულ პროგრამებთან ერთად, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ბაკალავრიატის არანაკლებ 180-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ. 180-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამების არსებობა ევროპის მასშტაბით სხვადასხვა უნივერსიტეტში უკვე გავრცელებული პრაქტიკაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ევროპულ სწავლებასთან უფრო მეტად დაგვაკავშირებს და ქართული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროს საერთო ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. როგორც გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, სამწლიანი პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განხორციელებას საქართველოში.

სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას მიესალმებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც წელს აპირებენ ბიზნესის ადმინისტრირებაზე ჩაბარებას. ისინი ფიქრობენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, დროის დაზოგვასთან ერთად, მარტივად დასაქმებაშიც დაეხმარებათ.

ჩვენ გავესაუბრეთ **ქეთი ჯიბუტს,** რომელიც წელს აბიტურიენტია და კავკასიის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე აბარებს.

- ალბათ იცით, რომ პირველად სამწლიანი ფაკულტეტი კავკასიის უნივერსიტეტს ჰქონდა, ანუ სანამ ეს კანონი ძალაში შევიდოდა, ამიტომაც მანამდე არჩევანი ამ ფაკულტეტზე მქონდა შეჩერებული. საზღვარგარეთ სამწლიანი ფაკულტეტი მანამდეც აქტუალური იყო. ლოგიკურიცაა - არ შეიძლება, ყველა სპეციალობის შესწავლას თანაბარი დრო ეთმობოდეს, თანაც მაშინ, როცა ბიზნესის შემსწავლელ სხვადასხვა კურსებს გაცილებით მცირე ვადაში გადიან და ხშირად იგივე თანხას გამოიმუშავებენ, რასაც უნივერსიტეტდამთავრებულები (ზოგჯერ მეტსაც), რაც, ცხადია, სტუდენტების და აბიტურიენტების უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ ბევრი მათგანი ამჯობინებდა ვიწრო პროფესიებით დასაქმებას, ჩვენ კი საშუალება გვეძლევა, იგივე განათლება სამ წელიწადში მივიღოთ ოთხი წლის ნაცვლად და სასურველ პროფესიას ერთი წლით ადრე დავეუფლოთ. როგორც მოსწავლე, ვფიქრობ, რომ ბოლო წლებში გატარებული განათლების რეფორმებიდან ეს საუკეთესოა. ახალგაზრდებიც, რომლებიც უკვე სწავლობენ აღნიშნულ ფაკულტეტზე, ამბობენ, რომ სამი წელი სრულიად საკმარისია ბიზნესის შესასწავლად.

ჩვენი მომდევნო რესპონდენტი **თინათინ როდინაძე** ბსუ-ის ბიზნესის ადმინისტრირების მე-4 კურსის სტუდენტია. ჩვენ მას ვკითხეთ, საკმარისია თუ არა სამი წელი, სტუდენტმა ბიზნესის ადმინისტრირება კარგად რომ შეისწავლოს? მისი თქმით, ეს ცვლილება დადებითად აისახება სტუდენტებზე, რადგან უფრო მოკლე დროში მიიღებენ იმ ცოდნას, რასაც ოთხ წელს ანდომებდნენ.

- როგორც რიგით სტუდენტს, მიმაჩნია, რომ ეს ცვლილება დადებით გავლენას მოახდენს მომავალ სტუდენტებზე, კონკრეტულად - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე, რომელსაც შეეხო აღნიშნული ცვლილება, ჩემთვის უფრო ლოგიკურია, იყოს სამწლიანი სწავლა და არა ოთხწლიანი. ნებისმიერ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირებაზე ისწავლება ისეთი საგნები, რომლებიც შეიძლება არ იყოს დაკავშირებული სპეციალობასთან. ზოგადად, ბიზნესის ადმინისტრირებაზე სწავლება იყოფა ორ მოდულად: ზოგადი მოდული და სპეციალიზაციის მოდული; სამი სემესტრის შემდეგ ხდება ვიწრო სპეციალობის არჩევა. ჩემი აზრით, მას შემდეგ, რაც სწავლა სამწლიანი გახდება, მეტი ყურადღება დაეთმობა ვიწრო სპეციალობის საგნების შესწავლას, რაც დადებით გავლენას მოახდენს როგორც სტუდენტის მოსწრებაზე, ასევე, მოტივაციაზეც. მარკეტინგის სპეციალობის მომავალ სტუდენტებს ზოგადი მოდულის გავლის განმავლობაში უწევთ ტექნიკური საგნის გავლა, როგორიცაა მათემატიკა ბიზნესში, რაც მომავალში, უმრავლეს შემთხვევაში, არ გამოადგებათ. ეს ხშირად უარყოფითად მოქმედებს სტუდენტის მოტივაციაზე, ისწავლოს. მაგისტრატურას რაც შეეხება, ყველა მაგისტრანტს არ სურს კარიერული სვლა სამეცნიერო კუთხით, ანუ დოქტორობა, ესე იგი მომავალ დოქტორებს და სხვა სტუდენტებს არ უნდა გააჩნდეთ ერთნაირი პროგრამა. ჩემი აზრით, მოცემული გადაწყვეტილება უარყოფითად იმოქმედებს სტუდენტებზე ერთადერთი მიმართულებით: ერთი წლით შემცირდება სტუდენტობა და შემცირდება იმ შეთავაზებების და შესაძლებლობების რაოდენობა, რაც სტუდენტებს აქვთ (მაგალითად, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შანსების შემცირება), რაც, ჩემი აზრით, არ წარმოადგენს დიდ პრობლემას.

„უნივერსიტეტის აკრედიტაცია და საქართველოში სამწლიან პროგრამაზე გადასვლა დროში დაემთხვა ერთმანეთს, რაც ძალიან სასიამოვნოა. ჩვენ შევისწავლეთ საქართველოში, ევროპასა და ამერიკაში არსებული უნივერსიტეტების პროგრამები და აღმოჩნდა, რომ ევროპაში უნივერსიტეტების უმრავლესობა უკვე სამწლინ სწავლებაზეა გადასული, რაც ძალიან შედეგიანიცაა. ჩვენც უნდა მოვერგოთ ევროპული სწავლების მეთოდს

საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად ის ადამიანები, რომლებიც აღნიშნულ ფაკულტეტზე ასწავლიან. გვესაუბრა ბსუ-ის ბიზნესის ადმინისტრირების ლექტორი, ასოცირებული პროფესორი **ნანული მახარაძე.**

- თავდაპირველად, მინდა გითხრათ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე სამწლიანი პროგრამის აკრედიტაციის რეჟიმშია. ჩვენ აღნიშნულ საკითხზე სექტემბრიდან გვაქვს სამუშაო ჯგუფები შექმნილი, ასევე, გავიარეთ ტრენინგები საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასთან დაკავშირებით, რაც უნივერსიტეტმა უზრუნველყო. შესაბამისად, გვაქვს ბიზნესის ადმინისტრირების ახალი სამწლიანი პროგრამის მომზადების შესაძლებლობა. უნივერსიტეტის აკრედიტაცია და საქართველოში სამწლიან პროგრამაზე გადასვლა დროში დაემთხვა ერთმანეთს, რაც ძალიან სასიამოვნოა. ჩვენ შევისწავლეთ საქართველოში, ევროპასა და ამერიკაში არსებული უნივერსიტეტების პროგრამები და აღმოჩნდა, რომ ევროპაში უნივერსიტეტების უმრავლესობა უკვე სამწლინ სწავლებაზეა გადასული, რაც ძალიან შედეგიანიცაა. ჩვენც უნდა მოვერგოთ ევროპული სწავლების მეთოდს და მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან დადებითი ცვლილება. თუ ვისაუბრებთ იმაზე, საკმარისია თუ არა 180 კრედიტი, გეტყვით, რომ სავსებით საკმარისია. ახალი პროგრამით ჩვენ გვექნება 150 ძირითადი და 30 მაინორპროგრამა და ვფიქრობ, ცუდი არ უნდა იყოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ამას ერთი ან ორწლიანი მაგისტრატურაც ემატება.

ოქრო გაძვირდა, მყიდველმა იკლო

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

საერთაშორისო ბირჟაზე ოქროს ფასი რეკორდულ ნიშნულამდე გაიზარდა. დღეს უნცია მეტალის ღირებულებამ 2,155 დოლარს მიაღწია, რაც ერთწლიან პერიოდში 19%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. საერთაშორისო ბირჟაზე ოქროს ფასს მოთხოვნა-მიწოდება ადგენს. ძირითადად, ოქროს ცენტრალური ბანკები, კერძო ინვესტორები და იუველირები ყიდულობენ. ინვესტორების მოთხოვნა პირდაპირაა დამოკიდებული ეკონომიკურ მდგომარეობაზე, იუველირების ქცევა კი ძვირფასი სამკაულების ბაზარზე არსებულ ვითარებასთანაა დაკავშირებული.

ასევე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვის ფაქტორი. მოგეხსენებათ, ოქროსა და ამერიკულ დოლარს შორის საპირისპირო მიმართებაა. დოლარის გამყარება ოქროს გაუფასურებას იწვევს, ვალუტის დევალვაცია კი ძვირფასი ოქროს გაძვირებას უწყობს ხელს. თავად დოლარის სიმყარეზე გავლენას არაერთი ფაქტორი ახდენს, მათ შორისაა გეოპოლიტიკური ვითარება, მონეტარული პოლიტიკა, სავალუტო შემოდინებები, სავაჭრო ბალანსი და ეკონომიკური ზრდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, რეფინანსირების განაკვეთია, რომლის შემცირება ოქროზე პოზიტიურად აისახება.

ოქროს ზრდის ტენდენცია საქართველოშიც ანალოგიურია. ბირჟაზე ფასების მატებამ მომხმარებლის რაოდენობაზეც იქონია გავლენა. თამუნა ოქროპირიძე წლებია, ამ სფეროში მუშაობს. როგორც მან გვითხრა, ოქროს ფასის ზრდა მათ მუშაობაზეც ნეგატიურად აისახა, მყიდველმა იკლო, იმატა პრობლემებმა.

- ოქრო მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა და კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია. მომხმარებლის ნაწილი ფიქრობს, რომ ფასი უფრო მოიმატებს და ვისაც აქვს იმის საშუალება, რომ იყიდოს, იხდის მომატებულ ფასს, ნაწილი დაკლებას ელოდება, ჯამში, მუშაობა შემცირებულია. ამასთან, ორი აღმსარებლობის მარხვა დაიწყო და ამ მიზეზით ქორწილების რიცხვიც შემცირდა. მუშაობა ბაზარსაც უჭირს, ყველას ბანკის ვალი აქვს და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, ვისაც როგორ „აწყობს“, ისე ყიდის თავის საქონელს. დღეისათვის ჩვენთან ერთი გრამი ოქროს ფასი, სინჯების მიხედვით, ასეთია: 585 - 150 ლარი, 750 - 180, ხოლო გრამი 958 სინჯისთვის მსურველს 190 ლარის გადახდა მოუწევს. რაც შეეხება დოლარის ცვალებადობას და მის გავლენას ოქროს ფასზე, გეტყვით, რომ ოქროს ბირჟაზე საქონლის ნაწილი ბითუმად, დოლარში შემოდის და ცხადია, როცა აიწევს კურსი, გვიძვირდება საქონელი. ესეც პრობლემაა, - გვითხრა თამუნა ოქროპირიძემ.

„გადაუჭრელი პრობლემები არ გვაქვს“

წლევანდელმა ზამთარმა, მრავალ სხვა სოფელსა და დასახლებულ უბანთან ერთად, პრობლემები შექმნა ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში - ტაკიძეებში, ახალდაბაში, წყაროთაში, ცეკვასა და დარგულაში. 20-მდე ოჯახი, გეოლოგიური დასკვნების თანახმად, ადგილმონაცვლეობას საჭიროებს

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჭვანელთა მაჟორიტარი ამ წარმომადგენლობით ორგანოში ***მალხაზ ტაკიძე*** *გვესაუბრება.*

- უხვი ნალექი, დიდთოვლობა ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თოვლს გარკვეული პრობლემები ყოველთვის მოჰყვებოდა, მაგრამ ასეთი მასშტაბური მეწყრული პროცესები, როგორიც წელს იყო, იშვიათობაა. თებერვლის გადაუღებელ წვიმებს თოვლი ათასგზის სჯობდა. წყალი ყველგან ნიაღვარივით მოდიოდა, მიწამ ფერდობზე მეწყრის სახით დაცურება დაიწყო. მოქალაქეთა სიფრთხილის წყალობით შუახევის მუნიციპალიტეტსა და ჭვანის ხეობაში მსხვერპლი არ ყოფილა, ზარალი კი დიდია. სოფელ ცივაძეებში მეწყერმა ჩაიტანა გოჩა ქარცივაძის საცხოვრებელი სახლი, რამაზ ქარცივაძის დამატებითი სათავსოები.

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ რა კეთდება?

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად, ადგილზე გაეცნო არსებულ მდგომარეობას. დაზარალებულ ოჯახებს 50-50 ათასი ლარის კომპენსაცია გადაეცემათ. ამ ეტაპზე სტიქიურად საშიში ტერიტორიებიდან ოჯახები საიმედო ადგილებზე გაგვყავს. ბინის ქირას ბიუჯეტი აანაზღაურებს, საკომპენსაციო თანხის მიღების შემდეგ კი ოჯახმა საცხოვრისი უნდა გამონახოს.

- წარსულის მაგალითებს თუ გავიხსენებთ, რამდენიმე ოჯახი ადგილზევე დასახლდა...

- ასეთ ქმედებას ყველა მიესალმება. სწორედ რომ სტიქიურმა პროცესებმა გამოიწვია ჩვენი სოფლების დაცარიელება, თუნდაც ტაკიძეების მაგალითი ავიღოთ. აქ ადრე რვაწლიანი სკოლა იყო 80-90 მოსწავლით. ახლა მეათედიღა დარჩა. ჩვენი სოფლები მოხუცების ამარაა. არადა, ადმინისტრაციულ ერთეულში 5 სამსაფეხურიანი და ორი ორსაფეხურიანი საჯარო სკოლა გვაქვს. კონტინგენტის სიმწირის გამო დაწყებითი სკოლები გაუქმდა დარგულაში, ზედაყანაში, ზედა ახალდაბაში. სკოლაფილიალები ცეკვასა და ზედა ტაკიძეებში შემოგვრჩა. სოფლებში ახალი სახლების მშენებლობამ მნიშვნელოვნად იკლო. ადგილმონაცვლეობის შემთხვევაში, სოფლების შენარჩუნებას შევძლებთ.

- ბოლო დროს სოფლების კეთილმოწყობისთვის, სასიცოცხლო ობიექტების ნორმალურად და გამართულად მუშაობისთვის მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება. ეს პროცესები მიგრაციას არ ამცირებს?

- სპეციალობით ისტორიის მასწავლებელი ვარ. კარგად ვიცი, რა ვითარება იყო ჩვენს სოფლებში წინა საუკუნის 60-იან წლებში და რა ვითარებაა ახლა. ხიჭაურის საჯარო სკოლა, რომლის მოსწავლეებთან ურთიერთობა მაქვს, ახლა თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საგანმანათლებლო კერაა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ადგილობრივი კადრებით. ყველა სოფელში ახალი სკოლები აიგო. ჭვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში ადგილობრივი ექიმი მუშაობს, სხვა სოფლებში თემის სამედიცინო პუნქტები მოქმედებს. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება სოფლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისთვის. უკვე ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზები უბნებშიც შევიდა. ერთ მილიონამდე ლარი დაიხარჯა იმ მთებში დენის გაყვანასა და შიდა ქსელის მოწესრიგებაზე (თაგინური, მერიაყელი, გრძელგორი, ტყისველა, ყავრიანი), სადაც ჩვენი სოფლების მეცხოველეები და ბავშვები ზაფხულს ატარებენ. მაღალი მთების ტურისტულ პოტენციალს სახალხო დღესასწაულები „შუამთობა“, „ჯვარიმინდვრობა“ შევმატეთ. 2013 წელს წამოწყებულმა ფესტივალმა სათავე დაუდო ახალი ტურისტული კერის დაფუძნებას.

- ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზეა ისტორიული ოთოლთას ციხე. შარშან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი რესტავრაცია-კონსერვაცია იწყებოდა, მობილიზებული თანხაც სახელდებოდა...

- ციხის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო აწარმოებს. კვალიფიციური სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ საქმეში აჩქარება ზიანის მომტანი იქნებოდა. ეს ძეგლი მრავალ საიდუმლოს ინახავს. ჯერ ყველაფერი უნდა შეისწავლონ და სამუშაოებს მერე დაიწყებენ. ოთოლთას ციხე ამ ეტაპზე საინტერესო და მიმზიდველ ტურისტულ ობიექტად რჩება. ჩვენ გავაკეთეთ ციხეზე ასასვლელი ბილიკი, ექიმ იაგო ტაკიძის ინიციტივით, ჯვარიც აღმართა. მარტი დადგა თუ არა, ციხეს რეგიონული ტურისტული ცენტრის გიდები ეწვივნენ და წლევანდელი ტურების საინტერესო ობიექტების ნუსხაში შეიტანეს.

- ხიჭაური ის დასახლებაა, რომელიც, 2008 წლიდან მოყოლებული, ახალ სიცოცხლეს იძენს. მას არც დაბის და არც სოფლის სტატუსი აქვს...

- ხიჭაურის დასახლება, მართლაც, ახალ სიცოცხლეს იძენს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ტერიტორიაზეა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი, საპატრიარქოს სკოლა. საჯარო სკოლაზე უკვე ვისაუბრე. 150-მდე ოჯახს სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ყოფილი სამხედრო ნაწილის კორპუსებში ბინები დაუკანონდა. აქვეა პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ნორმალური ბაზა. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბაგა-ბაღის შენობაც აიგო, სადაც აღსაზრდელები ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლიდანაც მოჰყავთ. დასახლებისთვის დაბის ან სოფლის სტატუსის მინიჭება დღის წესრიგშია და ვიმედოვნებთ, რომ მალე გადაწყდება.

- უკვე მესამე წელია, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე და მაჟორიტარი დეპუტატი ხართ. რა პრობლემები მოგვარდა თქვენი ჩარევით?

- საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ სამი პროექტია ინიცირებული. გარდა ამისა, ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს ამომრჩევლებთან. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი სტრუქტურის ხელმძღვანელები ჩემს წინადადებებს, თხოვნას რეაგირების გარეშე არ ტოვებენ. გვერდით მიდგას მერის წარმომადგენელი ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ვახტანგ ნაკაშიძე, ყველა ღონისძიებას ერთად ვესწრებით. ამას წინათ სოფელ ახალდაბაში გახლდით - წუთისოფლიდან ნაადრევად წასულ პოეტ ზურაბ ზოიძის დაბადებიდან 65 წელი შესრულდა. პოეტიც გავიხსენეთ და სოფლის პრობლემებზეც ვიმსჯელეთ. ერთი რამ ნათელია: გადაუჭრელი პრობლემები არ გვაქვს, მათ დასაძლევად მიზანმიმართულად ვიშრომებთ.

- წლევანდელ გამოწვევად რას მიიჩნევთ?

- მზადებას 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის. ეს კამპანია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს 2025 წლის თვითმართველობის არჩევნებზე ჩვენს შედეგებს. საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება უკვე აქტიურ ფაზაშია. ჩვენ ამომრჩეველს არ ვატყუებთ, არც არაფრისმთქმელი დაპირებებით ვცდილობთ არჩევნების მოგებას. კვლავ გაგრძელდება ის აღმშენებლობითი, დემოკრატიული პროცესები, რომლებიც ქვეყანაში, თითოეულ რეგიონში, თუნდაც ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში 2012 წლიდან მიმდინარეობს.

ტურისტული ინფოტური – აჭარის მთიანეთში

აჭარის მთიანეთი უცხოელი და ადგილობრივი ტურისტებისთვის ყოველწლიურად უფრო საინტერესო, მიმზიდველი და მრავალფეროვანი ხდება. გაზაფხული დადგა თუ არა, გააქტიურდნენ ტურისტული კომპანიები, ტურიზმის განვითარების სააგენტოები. ამ დღეებში ქვეყნის დედაქალაქში მოქმედი რეგიონული ტურიზმის განვითარების ცენტრის გიდები, სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები ჭვანისა და მარეთის ხეობებში იმყოფებოდნენ

ტურისტული ცენტრის (ხელმძღვანელი - რუსუდან ჯაფარიძე) ორგანიზებით, მათ მოინახულეს სოფელ ხაბელაშვილებში (ჭვანის ხეობა) არსებული სამსაუკუნოვანი ხის ხიდი, დაათვალიერეს ხაბელაშვილების ეთნოგრაფიული მუზეუმი, იმყოფებოდნენ მუსიკალური ინსტრუმენტების დამამზადებელ სახელოსნოში, დაინტერესდნენ ეგრეთ წოდებული მოშუშული ყველის დამზადების ტექნოლოგიით, რომელიც მხოლოდ მარეთის ხეობის მეცხოველეებმა იციან. ამ მიზნით, გიდები და მათი თანმხლები პირები მარეთის ხეობის სოფელ პაპოშვილებში ვარდო და ომარ ფუტკარაძეების ოჯახს სტუმრობდნენ.

70 წელსაა გადაცილებული ომარის დედა გულვარდ ფუტკარაძე. იგი 3 ათეული წელია, ზაფხულში პირუტყვს მთა ჩირუხის ალპურ საძოვრებზე აძოვებს. ერბოს, ჩლეჩილი ყველის, ხაჭოს, კაიმაღის, ნადუღის დამზადებასთან ერთად, გულვარდი კარგად ფლობს მოშუშული ყველის დამზადების ტექნოლოგიასაც. მან დეტალურად აუხსნა სტუმრებს ამ სახეობის ყველის დამზადების პროცედურები, საგულდაგულოდ გადანახული პროდუქტიც დააგემოვნებინა.

- ამ სახეობის ყველის ბორანო დელიკატესია, - თქვა გულვარდის რძალმა, პაპოშვილების საჯარო სკოლის პედაგოგმა ვარდო ფუტკარაძემ, - მისი დამზადების ტექნოლოგია ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში შევისწავლე. იგი რამდენიმე პროცედურას საჭიროებს, თანაც ყველაფერი ვადებში, სიფაქიზითა და ჰიგიენური წესების დაცვით უნდა შეასრულო. ასაკში შესულ დედამთილს მეც ვეხმარები. ბაზარზე ამ სახეობის ერთი კილოგრამი ყველის ფასი 60-70 ლარია. იგი ყუათიანობით ჰოლანდიურ ყველზე უკეთესია. ახლა მისი დამზადების ტექნოლოგიას შვილებსა და შვილიშვილებს ვასწავლით. მართალია, როგორც ადრე, ნახირში 10-მდე მეწველი ძროხა აღარ გვყავს, მაგრამ პროდუქტიული ფურები შევიძინეთ და მომთაბარეობას ისევ მივსდევთ. ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლები შეგვპირდნენ, რომ ზაფხულში მთაში გვეწვევიან, ჩირუხის ღირსშესანიშნაობასაც გაეცნობიან. იქ დაწყებულია და გაისად დასრულდება ორზოლიანი „ზიპლაინის“ მშენებლობა. ტურისტები „ზიპლაინითაც“ გაისეირნებენ და მათთვის სასურველ მეცხოველეობის პროდუქტებსაც დააგემოვნებენ.

ტურისტული ექსპედიციის მონაწილეები სოფელში არსებულ მეჩეთშიც მივიდნენ და გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარიც დაათვალიერეს.

ტური შუახევში ოქროპილაურის ციხის ნანგრევებისა და დაბა შუახევის ღირსშესანიშნაობების მონახულებით დასრულდა.

- სანახაობრივი, შინაარსობრივად დატვირთული დღე გვქონდა. ჭვანისა და მარეთის ხეობების ისტორიული ძეგლების დათვალიერებას, სტუმართმოყვარეობის ტრადიციების გაცნობას, ადგილობრივი ყუათიანი კერძების დაგემოვნებას ვინ არ მოისურვებს. გაოცებულნი და აღტაცებულნი ვართ იმ დახვედრით, პაპოშვილებში ვარდო და ომარ ფუტკარაძეების ოჯახმა რომ მოგვიწყო. ბებიამ ინფოტურის მონაწილეებს ყურუთი და მოშუშული ყველი უსაჩუქრა, ომარი კი ოჯახში დაწურული ღვინით გაგვიმასპინძლდა. ჩვენს ექსპედიციაში ფშაველი ქალბატონიც იყო, რომელიც იქაური ყველის დამზადებასა და რეალიზაციაზე მუშაობს და ზაფხულში მთა ჩირუხში სტუმრობას, ადგილობრივი სახეობის ყველის მომზადების ტექნოლოგიის უკეთ გაცნობას აპირებს, - გვითხრა რეგიონული ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორმა რუსუდან ჯაფარიძემ.

* * *

ინფოტურის მონაწილენი იმყოფებოდნენ მაჭახლის ხეობაში, ასევე, გაეცნენ ბათუმის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერეს ღვინის მარანი, რომელიც ბიზნესმენ ვაჟა დავითაძის კუთვნილებაა, გამართეს სემინარები.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„მოიისფრო“ – ორი მეგობრის საინტერესო წამოწყება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*„მოიისფრო“ - ასე ჰქვია კომპანიას, რომელიც ორმა მეგობარმა - **საბა ოძუჯავამ** და **ბექა ხოფერიამ** შექმნეს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ღვინის კულტურის დამკვიდრებას თანამედროვეობაში.*

- საბა, მოგვიყევით, როდის დაიბადა იდეა და რატომ - „მოიისფრო“?

- კომპანიის შექმნაზე დიდი ხანი ვფიქრობდით. მიხარია, რომ ეს შევძელით. სახელწოდება „მოიისფრო“ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მოდის. ტექსტში, სიტყვა მოიისფრო დაკავშირებულია სილამაზესთან, ესთეტიკასთან („ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორებიცაა სიტყვა... მოიისფრო“). ამჟამად გვაქვს ისეთი ღვინის სახეობები, როგორებიცაა: „რქაწითელი“, ქედის განსაკუთრებული „ჩხავერი“ და ვაზის უცნობი ჯიში გურიიდან „უშრომელა“, რომელიც, მჯერა, კომპანიის სავიზიტო ბარათი გახდება. ჩვენი მიზანი ქართული ღვინის კულტურის მხარდაჭერაა.

- რა იქნება ის მთავარი, რაც ბაზარზე სხვებისგან განგასხვავებთ?

- ვცდილობთ, განსხვავებული ღვინის სახეობები გამოვიტანოთ ბაზარზე. განსხვავებული იქნება ბოთლის დიზაინი, ეტიკეტი... მაგალითად, პირველი ხაზი გამოვუშვით „ფირალების ღვინო“, რომელიც თავისუფლების იდეას ატარებს. გვინდა, მომხმარებელს მივაწოდოთ ქართული ღვინო როგორც ესთეტიკა, სილამაზე და, რაც მთავარია, თავისუფლების იდეა, გადმოცემული ნამდვილი ქართული ღვინის თითოეული წვეთით. გვაქვს რამდენიმე საინტერესო ჩანაფიქრი, რომლებსაც ფართო აუდიტორია ეტაპობრივად გაიგებს.

- 15 აპრილს საქართველოში სიყვარულის დღეს აღნიშნავენ. რომელი ღვინის დაგემოვნებას ურჩევთ შეყვარებულ წყვილებს, რათა მათი საღამო განსაკუთრებით შთამბეჭდავად შედგეს?

- ასეთი დღეებისთვის, ძირითადად, წყვილები წითელ ღვინოს ირჩევენ. ვურჩევდი „საფერავს“, რომელიც ჩვენც მალე დაგვემატება. ვინც ღვინის განსაკუთრებულ გემოს ეძებს და უცხო არომატი უყვარს, ვურჩევდი ჩვენს „უშრომელას“, რადგან ასეთ დღეებში ყველაფერი განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი უნდა იყოს, ჩვენი „უშრომელა“ კი, დამიჯერეთ, გულგრილს არავის დატოვებს.

> *„გვინდა, მომხმარებელს მივაწოდოთ ქართული ღვინო როგორც ესთეტიკა, სილამაზე და, რაც მთავარია, თავისუფლების იდეა, გადმოცემული ნამდვილი ქართული ღვინის თითოეული წვეთით“*

- რომ არა ღვინო, თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა სამყარო, ურთიერთობები?

- საქართველოს არ ექნებოდა ის კულტურული ნიშა, რომელიც, ვფიქრობ, პირველია ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ამ კულტურის დანახვა სხვა კუთხითაა საჭირო.

- ახალგაზრდებს, რომლებსაც საინტერესო იდეები აქვთ, როგორ შეუძლიათ ფინანსების მოპოვება და ჩანაფიქრების ხორცშესხმა?

- გააჩნია იდეას, მიზანს. არსებობს ბევრი პროექტი სტარტაპერებისთვის, არიან ინვესტორები. სპონსორები... რა თქმა უნდა, დიდი შრომის ხარჯზე ხდება ეს ყველაფერი. ახალგაზრდებს ვურჩევდი, სწორი მიმართულებით დახარჯონ ენერგია. საქმის გასაკეთებლად ენთუზიაზმია საჭირო. ასევე, მიზნის გარეშე არცერთი საქმე ისე არ გამოდის, როგორც გვინდა.

- როგორია „მოიისფროს“ უახლოესი გეგმები?

- 15 მარტს, 19:00 საათზე, აჭარის მწერალთა სახლში გვაქვს პრეზენტაცია. ვმუშაობთ ღვინის ახალი სახეობების დამატებაზე, ეტიკეტებზე. პირველ რიგში, გვინდა, ჩვენმა ქალაქმა გაგვიცნოს და შეგვიყვაროს, შემდეგ კი დავიწყებთ სხვადასხვა ბაზარზე გასვლას.

ყველაზე დიდი ჯილდო – სიყვარული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის ორმოცდასამი საჯარო და ერთი კერძო სკოლიდან ათამდეს ქალები ხელმძღვანელობენ. მათგან ყველაზე სტაჟიანი ბუთურაულის იაგო მიქელაძის საჯარო სკოლის დირექტორი ბულბული მგელაძეა. ამ დღეებში სკოლის პედაგოგებმა, ტექნიკურმა პერსონალმა დაბადების დღე მიულოცეს და მის პატივსაცემად საინტერესო ღონისძიებაც გამართეს

- ვიცოდით, რომ სკოლის დირექტორს დაბადებიდან მრგვალი თარიღი შეუსრულდა. გადავწყვიტეთ, სიურპრიზი მოგვეწყო მისთვის, მოვიპოვეთ მის შესახებ საინტერესო მასალა, რომელსაც ქალბატონი ბულბული წიგნში შესატანად ამზადებს და ასე ავაგეთ ღონისძიება, - გვითხრა ბუთურაულის საჯარო სკოლის პედაგოგმა და ღონისძიების წამყვანმა ლილი ხიმშიაშვილმა.

ბულბული მგელაძე დაიბადა 1964 წლის 3 მარტს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში. ბავშვობას სიყვარულით იხსენებს, რადგან დიდ, თბილ და მეგობრულ ოჯახში იზრდებოდა - ბებია, დედა, მამა და ექვსი დედმამიშვილი. ოჯახი ფუტკარივით შრომობდა. სწორედ აქ შეისისხლხორცა მშობელი მიწის, ქვეყნის, სოფლის, მთისა და ბარის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარული, აქ შეიგრძნო საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა.

პატივისცემით იხსენებს დანდალოს საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდს, უსაყვარლეს მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მისი, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებაში, პროფესიის არჩევაში. დღეს რომ მყარად დგას ფეხზე, ბუთურაულის საჯარო სკოლის წარმატებული ხელმძღვანელი და ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელია, თითოეული მათგანის დამსახურებაა.

1987-92 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობაზე. 1992 წლიდან მუშაობა დაიწყო სოფელ ბუთურაულის საშუალო სკოლაში სპეციალობის მიხედვით. 1995-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ბუთურაულის საშუალო სკოლას; ოთხი წელი სკოლის დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 2009 წლიდან კი ისევ იაგო მიქელაძის სახელობის ბუთურაულის საჯარო სკოლის დირექტორია. თანამდებობრივ საქმიანობას აქტიურად უთავსებს პედაგოგის შრომატევად საქმესაც.

წარმატება ხანგრძლივი შრომითა და ბრძოლით მოიპოვება, ამიტომ ცდილობს, მოსწავლეებს მაქსიმუმი გადასცეს და მათგანაც მაქსიმუმი მიიღოს. თამამად შეუძლია თქვას, რომ მისი სკოლის მოსწავლეები სასკოლო, რაიონულ, რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა თუ შემოქმედებით კონფერენციებზე, მხატვრული წრის დათვალიერებასა თუ სპორტულ ღონისძიებებში აქტიურობით გამოირჩევიან.

ბედნიერია, რომ მრავალი მისი აღზრდილი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმატებით მუშაობს. რამდენიმე კურსდამთავრებული სკოლაში დაბრუნდა პედაგოგად. იაგო მიქელაძე, რომლის სახელსაც დღეს სკოლა ატარებს, ამ სკოლის კედლებში აღიზარდა, ის ბულბული მგელაძის ყოფილი მოსწავლეა. პედაგოგს მუდამ ემახსოვრება ღიმილის ბიჭი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაიღუპა ცხინვალის მისადგომებთან.

ბულბული მგელაძე 2008-2011 წლებში არჩეული იყო შუახევის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს წევრად. ესეც დიდი დაფასებაა ხალხისგან. მიღებული აქვს დიპლომები და საპატიო სიგელები მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდაში მიღწეული წარმატებებისთვის, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურობისთვის, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ის სიყვარული და სითბოა, რომელსაც გრძნობს გარშემო მყოფი ადამიანებისგან, თვალმერცხალა გოგო-ბიჭებისგან, რომელთა გაცისკროვნებულ თვალებში გაზაფხული იკითხება.

ცხოვრება წინააღმდეგობითა და მოულოდნელობით არის სავსე. სადაც არ ელოდები, იქ ჩაგისაფრდება ბედისწერა და დაეცემი. მთავარია, როგორ წამოდგები ზეზე... ბედნიერია, რომ ყველა დაცემამ გააძლიერა, ფეხზე წამოდგომაც შეძლო და მყარად დადგომაც. 1997 წელს დაკარგა მეუღლე არჩილ მიქელაძე, მარტომ იტვირთა ორი ვაჟის აღზრდა-განათლება, სხვისი შვილების აღზრდასთან ერთად. პედაგოგიურმა გამოცდილებამ, საზოგადოებასთან ურთიერთობის ცოდნამ მისცა ძალა, მყარად მდგარიყო ფეხზე. დღემდე კეთილსინდისიერად, დიდი სიყვარულით ემსახურება მომავალი თაობების აღზრდის საპატიო საქმეს.

ბულბული მგელაძეს საიუბილეო თარიღი მიულოცეს, სამახსოვრო ადრესი და საჩუქრები გადასცეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილე გიორგი კეკელიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარიძემ, შუახევის მერიის სამსახურების უფროსებმა ფრიდონ დავითაძემ, მურად მიქელაძემ, სოფელ ბუთურაულის ხელმძღვანელმა რევაზ დიასამიძემ, სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა.

ბუთურაულის საჯარო სკოლის მხატვრული წრის წევრებმა სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

გზა სრულყოფისაკენ, ანუ მუდმივი ძიება...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მწერალი ***ქეთი გაბინაშვილი*** *იმ წარმატებულ შემოქმედებს მიეკუთვნება, მხატვრული ტექსტის თვითმყოფადობითა და სიღრმით, მოვლენების ახლებური გააზრებით ფართო მკითხველის ყურადღებას რომ იპყრობენ. ქალბატონ ქეთის მიერ ბოლო დროს შექმნილი ნაწარმოები „ზღვარი“ არაერთ კითხვას აღძრავს ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე, საზოგადოებაზე, რომელშიც ვცხოვრობთ. შემდგარი და ბედნიერი რომ იყო, ანუ გზა თვითრეალიზაციისკენ მუდმივი ძიებაა - ასე სწამს მწერალს, რომელიც თავის პერსონაჟებთან ერთად, განკაცების, სულიერი ზეაღსვლის კიბეს შესდგომია... ეს ინტერვიუც ამ ასპექტში წარმოაჩენს ჩვენს რესპონდენტს.*

- გაზაფხული დადგა... თქვენი ბავშვობისა და ახალგაზრდობის გაზაფხულიც გაიხსენეთ.

- ადამიანის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დგება გაზაფხული. ფორიაქი, ფერები და სითბო შემოაქვს, გაგრძნობინებს, რომ მანამდე წარმოდგენაც არ გქონდა, ვინ იყავი და რა შესაძლებლობა გაგაჩნდა, რისკენ მიილტვოდი... თითქოს დიდი ძილით გეძინა და გამოგეღვიძა. სიცოცხლის წარმოუდგენელი სურვილი მოაქვს, ამოდის მზე და ალღობს შენს სულში ყველა ყინულს. მერე, თითქოს შენ თავად ხარ მზე და სხვების გათბობას იწყებ. უსასრულოა ეს გაზაფხული, სიცოცხლის ბოლომდე მიგყვება, ჩემი აზრით, იქითაც, იმ სხვა ცხოვრებაშიც.

- ჩვენი გაზეთის სტუმარი ერთი წლის წინ იყავით. მას შემდეგ მნიშვნელოვანი რა მოხდა თქვენს ცხოვრებაში?

- მოგზაურობების წელი იყო, ახალი ადგილების, ახალი ადამიანების, საკუთარ თავში ახალი უნარების აღმოჩენის წელი, ბევრი ფიქრის, ბევრი კითხვის, ენერგიის აღდგენისა და ახალი იდეების თავმოყრის პერიოდი. ძალიან აჩქარდა დრო, სულ სადღაც გვეჩქარება, სულ სადღაც გვაგვიანდება. ამ მუდმივ რბოლაში (უმეტეს შემთხვევაში, არსაით) დანიშნულების ადგილი გვავიწყდება ხშირად. ხანდახან უნდა შეჩერდე, შეისვენო და საკუთარ თავს მოუსმინო. საკუთარ თავთან დიალოგის პერიოდი იყო გასული წელი.

- გილოცავთ ახალ წიგნ „ზღვარს“. რას გვეტყვით მასზე?

- „ზღვარი“ მოგვითხრობს, როგორ იბრძვიან და როგორ უყვართ... ესაა ერეკლეს ამბავი, კაცის, რომელიც ღვინოს აყენებს და ტოტალიტარულ რეჟიმს უპირისპირდება; ეს ევის ამბავია, უშეღავათოდ შეყვარებული ქალის, რომელსაც მოუწევს პასუხისმგებლობებთან მარტო გამკლავება; ეს დამიანეს ამბავიც არის, მოვალეობების მარწუხებში მოქცეული კაცის, რომელიც ცხოვრებამ დანებებულ ჯარისკაცს დაამსგავსა, იარაღდაყრილ, ბრძოლის უნარდაკარგულს... არ ვიცი, მე დავწერე ეს წიგნი თუ თავად დამწერა. უცნაურად იწერებოდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ზოგჯერ მე შემქონდა პერსონაჟების ცხოვრებაში შესწორებები, მაგრამ ხშირად თავად მცვლიდნენ. წიგნის რედაქტორი ბატონი ანდრო ბედუკაძე იყო და ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მუშაობის პროცესი. ბევრი რამ ვისწავლე. დღეს, როცა ამ წიგნს ვუბრუნდები და კრიტიკული თვალით ვკითხულობ, ხარვეზებს ვპოულობ. ახლა ვიცი, რა გამომრჩა, სად გადავამეტე, რა შემეშალა. ამ წიგნზე მუშაობამ გამზარდა და თუ იქნება შემდეგი წიგნი, უფრო მეტ ძალისხმევას ჩავდებ მასში. მოგეხსენებათ, წიგნებს საკუთარი ცხოვრება აქვთ და ავტორების საკუთრება აღარ არიან მას შემდეგ, რაც მკითხველამდე მივლენ. ვერ ვიტყვი, რომ „ზღვარს“ ერთგვაროვანი ემოცია მოჰყვა. ყველა დადებით და უარყოფით შეფასებას ვეცნობი და ვცდილობ, საკუთარი წინსვლისთვის გამოვიყენო. წიგნი ხელმისაწვდომი იყო როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისთვის. ამჟამად, როგორც ჩემთვის ცნობილია, ნაბეჭდი სახით აღარ არის შემორჩენილი. მკითხველს მისი გაცნობა შეუძლია საბას ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკაში. სულ ახლახან კი საქართველოს უსინათლოთა კავშირმა გაახმოვანა და „ზღვარის“ აუდიოვერსია უახლოეს პერიოდში იქნება ხელმისაწვდომი.

- თქვენი წიგნი უკრაინულ ენაზე ითარგმნა. როგორ შეხვდა მას მკითხველი?

- უკრაინა-რუსეთის ომი ძალიან მძაფრად განვიცადეთ საქართველოში. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს უდიდეს მტერს ებრძვიან და მათი ყოველი გათენებული დილა გვიჩენს იმედს, რომ ჩვენც გავიმარჯვებთ და მოვარღვევთ მავთულხლართებს. ამ ტრაგედიას ომის დაწყებიდან ძალიან მალე გამოეხმაურა ბევრი ხელოვანი. ქალბატონი გულიკო ზუმბაძის ინიციატივით, გამოცხადდა კონკურსი და შერჩეული ნაწარმოებები უკრაინის ომის თემაზე შესრულებულ ნახატებთან ერთად, კრებულად შეიკრა. მოგვიანებით, აღნიშნული კრებულიდან გარკვეული ნაწილი უკრაინულ ენაზე ითარგმნა. მეც მოვხვდი ამ წიგნში და მქონდა პატივი, ბატონი რაულ ჩილაჩავა ყოფილიყო ჩემი მთარგმნელი. წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საქართველოში, ასევე, უკრაინაში. კარგი იქნებოდა, ამ წიგნის დაწერის მიზეზი არ ყოფილიყო, მაგრამ რადგან გვიწევს ისეთ სასტიკ სამყაროში ცხოვრება, სადაც ბავშვების სიცოცხლის ხარჯზე ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას, ვფიქრობ, ეს წიგნი წარმოადგენს გზავნილს საქართველოდან, თანადგომას ამ უთანასწორო ბრძოლაში, რუსეთის ბოროტების იმპერიისგან გამიჯვნას... თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, ჩემი ნაწარმოები „რა ადვილია გმირობა ომში“ უკრაინელ ხალხს არ ეძღვნება, ეს სამშობლოსთვის მათი თავგანწირული ბრძოლის ფონზე, ჩვენი უსუსურობის ტკივილია, ამბავია იმის, რომ ხშირად ომში დაბადება გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო არწივის მართვე... კლანჭებისა და ფრთების გარეშე.

- ამას წინათ მნიშვნელოვან პროექტში მიიღეთ მონაწილეობა, რომელმაც ახალგაზრდებს მისცა საშუალება, აფხაზეთისადმი საკუთარი სიყვარული და ტკივილი გამოეხატა და წიგნად ექცია...

- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და კერძოდ, ნინო მანიაშვილის ინიციატივით, გამოცხადდა კონკურსი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ მის ფარგლებში ახალგაზრდებს თემასთან დაკავშირებით შექმნილი ესეები და ნახატები უნდა წარმოედგინათ, მოგვიანებით კი ნამუშევრები წიგნად გამოიცა. მე ამ კონკურსის ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლდით. პროექტის შეფასებისას უკვე აღვნიშნე და აქაც გავიმეორებ, რომ ადამიანების უდიდესი ნაწილი, რომელიც აფხაზ ხალხთან მეგობრობდა და აფხაზეთს იცნობდა, რუსეთთან უთანასწორო ბრძოლას შეეწირა. ჩვენ ვართ თაობა, რომელმაც ბავშვობა გამოტოვა, რადგან გვიწევდა ადაპტირება იმ ურთულეს სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსთან, რომელიც ომს ახლავს თან. ჩვენი ცხოვრების დაწყებიდან აფხაზეთი სისხლთან, სიკვდილთან, საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცეულ მოსახლეობასთან ასოცირდებოდა... ემიგრაციამ, შეცვლილმა საგანმანათლებლო სისტემამ, დამარცხებული ომის გამო ქუჩაში გამოსულმა და ნარკოტიკსა და სასმელში შვების მაძიებელმა მამებმა, ახალმა კონფლიქტმა სამაჩაბლოში და ქვეყნის გულამდე მოსულმა მტრის ჯარმა ხელი შეუშალა ბავშვებს, აფხაზეთის შესახებ მეტი სცოდნოდათ, რაც აფხაზეთის ანექსიის წინაპირობაა. იმედი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა მომავალი თაობაა. ამ ფონზე მართლაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მსგავს პროექტებს.

- ერთგან გულისტკივილით ამბობთ: „როდესაც შენი სახელი და გვარი ცდება საკუთარი ოჯახის საზღვრებს, მზად უნდა იყო, რომ ვიღაცას მოეწონები, ვიღაცისთვის მიუღებელი იქნები“. თქვენი აზრით, ადამიანები რატომ ტკენენ გულს ერთმანეთს?

- იყო საჯარო პირი, ადამიანის არჩევანია. შენი საქმიანობით საზოგადოების ფართო ინტერესის ობიექტი როცა ხდები, უნდა გქონდეს გაცნობიერებული, რომ თმენის ვალდებულება გაქვს. უნდა იცოდე, რომ „არავინ არს სახიერ, თვინიერ ღვთისა“ და ადამიანს სრულყოფილებამდე ძალიან გრძელი გზა აქვს გასავლელი, ამიტომ არ უნდა ელოდო მუდმივად ქებას. უნდა შეგეძლოს კრიტიკის მიღება, მათ შორის, დაუმსახურებელი კრიტიკის მოსმენისთვისაც უნდა იყო მზად. ეს სიტყვები იმ ადამიანებს ეხებოდა, ვისაც განსხვავებული აზრის მოსმენის სერიოზული პრობლემა აქვთ. სასტიკია სამყარო ხშირად და ბოლო პერიოდში ადამიანებს ნეგატივის გავრცელების ძალიან ბევრი საშუალება მიეცათ. დათრგუნულია ადამიანი, რეალიზებას ვერ ახერხებს, ჰარმონიას ვერ პოულობს და ამ ბრაზს, ამ ტკივილს სხვების მიმართულებით ავრცელებს. შესაცოდია ადამიანი, რომელიც სხვების გულისტკენით საზრდოობს. მასთან ბრძოლა აზრსმოკლებულია. ბედნიერი და შეყვარებული ადამიანების გულში არაა მტრობის ადგილი.

- გზაგასაყარზე ბევრი ადამიანი გვხვდება: ზოგი ნათელ კვალს აღბეჭდავს, ზოგი - პირიქით, ამ დროს სულიერი წონასწორობის შენარჩუნებისთვის რა არის არსებითი, ანუ როგორ უნდა გავძლიერდეთ პიროვნულად?

- რაც დრო გადის, სულ უფრო იშვიათად მაკვირვებს რამე, სულ უფრო ნაკლებად მტკივა ადამიანებისგან, რადგან თითქოს მათგან ამას მოველოდი. მენატრება ის დრო, როცა უკეთესი წარმოდგენა მქონდა ადამიანებსა და ადამიანობაზე... მაგრამ ადამიანი მარტივი არსება არაა, ჩვენ ვხედავთ, რას აკეთებს, მაგრამ წარმოდგენა არ გვაქვს, რამ მიიყვანა აქამდე, რამ აქცია ასეთად, რა ტკივილი დაადგა, რა იმედგაცრუება. ჩემი წონასწორობის შენარჩუნების ერთადერთი გზა იმაზე ფიქრია, რომ „ბოლოს ყოველი დაფარული საქმე ცხადად გამოცხადდეს“ - არ არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც არ გაცხადდება, ყველა სიმართლეს აეხდება ფარდა, ყველა მივხვდებით საკუთარ შეცდომას, უბრალოდ, უნდა ვიპოვოთ ძალა ლოდინის.

- როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე და, საერთოდ, რას ფიქრობთ ლიტერატურულ კრიტიკაზე?

- სამწუხაროდ, ლიტერატურული კრიტიკის სერიოზულ დეფიციტს განვიცდით და ეს აისახება კიდევაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. შემოქმედისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯანსაღი კრიტიკა, სხვაგვარად ვერ განვითარდები, ვერ გაიზრდები. სოციალურმა ქსელებმა ყველას მოგვცა საშუალება, რომ საკუთარი აზრი მიგვეტანა ფართო აუდიტორიამდე. ადამიანების გარკვეული ჯგუფების მაამებლური შეფასებები ხშირად გაჯერებს, რომ საუკეთესო ხარ. ეს პიროვნულად გაზიანებს. შეფასებისას ორი უკიდურესობაა, ერთნი გადიდებენ, ძალიან მარტივად იყენებენ ეპითეტებს: ბრწყინვალე, შესანიშნავი, გენიოსი... მეორენი კი გლანძღავენ. არც პირველნი და არც მეორენი არგუმენტირებულად არ აფასებენ შემოქმედებას. პროფესიონალური კრიტიკა საჭიროა. თუ შენზე საუბრობენ, უკვე კარგია, რადგან გამჩნევენ. ყოველთვის ვისმენ შეფასებას, თითქმის ყველა კომენტარს ვკითხულობ, ვფიქრობ და თუ შემფასებლის არგუმენტი ჩემთვის დამაჯერებელია, ვცდილობ, გავითვალისწინო.

- შეგიძლიათ თუ არა საკუთარი თავის დახასიათება და როცა მარტო რჩებით, როგორი ხართ?

- ხუმრობით რომ გითხრათ, მარტო არასდროს ვრჩები, არ მტოვებენ, ჩემს ტვინში ცხოვრობენ და ხმაურობენ. რომლის ხმაც უფრო ძლიერია, მის შესახებ ვწერ. ალბათ იმ მომენტში ისეთი ვარ მეც, ჩემი პერსონაჟების მსგავსი. ისე კი, ეს ყველაზე რთული კითხვაა, ყველაზე ძნელად თავმოსაყრელია სიტყვები. ხშირად ვუსვამ ამ კითხვას საკუთარ თავს და ჯერ პასუხი ბოლომდე არ მიპოვია. იქნებ, სულაც ესაა ცხოვრება, საკუთარი თავის მუდმივი ძიების ურთულესი გზა.

- თქვენ და ოჯახი. ოჯახი სულის სავანედ რომ იქცეს, ვისზეა დამოკიდებული?

- ჩემმა დიდმა პაპამ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, ჩემს დიდ ბებიას 10 შვილი გარდაეცვალა და ძილის წინ მაინც ლოცულობდა: „ღმერთო, აცხონე ქვეყანა და ამ ქვეყანაში ჩემი ოჯახიც გარიე“, - ასეთ ოჯახში გავიზარდე, ასეთ ღირებულებებზე. არ მავიწყდება ეს, მუდმივად ვფიქრობ. ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენ ყოველთვის ერთად მოვიაზრებდით თავს, ერთ დიდ ოჯახად და სადაც უნდა ვიყოთ, ერთმანეთის არსებობას არ ვივიწყებთ, ვგრძნობთ პასუხისმგებლობასაც და ძალასაც. ყველაფერში უზომონი, უკიდურესობების ადამიანები ვართ, მაგრამ ყველაზე მთავარი გვაქვს, თან, ძალიან დიდი დოზით - ერთმანეთის უპირობო სიყვარული. ოჯახი - ესაა ადგილი, სადაც უყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ, შენი ნაკლითა და ღირსებებით, ადგილი, სადაც ნებისმიერ დროს შეგიძლია დაბრუნება. თავშესაფარია ოჯახი. ჰარმონიას ოჯახში ერთი ადამიანი ვერ შექმნის, ეს უდიდესი შრომაა, ერთობლივი ძალისხმევა, ერთი მიმართულებით მოძრაობის სურვილი.

- სემიოლოგთა აზრით, სამყაროში ყველაფერი ნიშანია. რისი ნიშანია ადამიანი?

- სამყაროში უამრავი ნიშანია. ვფიქრობ, ძველმა ადამიანებმა მათი კითხვა იცოდნენ. თანამედროვე ადამიანის გულის თვალი დაბინდულია. ვეღარ ვხედავთ იმას, რაც ზედაპირზე არ გვიდევს, ამიტომ თუ დავდივართ ასე გზაარეულები. ადამიანი ღმერთის არსებობის ნიშანია. ადამიანი თავად არის მატარებელი ღმერთის და აქვს უდიდესი პოტენციალი. უბრალოდ, ჩვენ ეს დაგვავიწყდა.

- საუკეთესო თვისებად რას თვლით?

- გულწრფელობას, საკუთარ თავად ყოფნის ძალას. ძალიან ყალბი გახდა სამყარო, ყალბები გავხდით ჩვენ. ცხოვრება, რომლის აფიშირებასაც ვცდილობთ, არ ასახავს რეალურ ყოფას, ჩვენი სიტყვა აღარ მოდის გულიდან, ხელოვნებაც კი აღარ არის სარკე, რომელშიც საკუთარი ნაკლისა და ღირსების დანახვა უნდა შეძლოს საზოგადოებამ... ალბათ ჩვენ ვქმნით ასეთ გარემოს, ჩვენ ვაიძულებთ ერთმანეთს ტყუილის თქმას, რადგან აღარ გვაქვს სიმართლის მიღების მზაობა. ნიღბების ეპოქაა. ამ ნიღბების ცვლაში საკუთარი თავები დავკარგეთ თითქოს.

- წუთისოფლის არსზე რას ფიქრობთ?

- დედამიწა ჩემთვის ერთგვარი ხიდია, რომელიც ადამიანსა და ღმერთს აკავშირებს. იესო ქრისტეს ორმოცი დღე უდაბნოში სიარული დასჭირდა, რათა ეშმაკი დაემარცხებინა. ხანდახან ვფიქრობ, რომ წუთისოფელი ადამიანისთვის უდაბნოა თავისი გვალვით, გამომშრალი პირითა და ოაზისებით, ესაა ადგილი, სადაც საკუთარი თავი ჯერ უნდა დაკარგო და შემდეგ თავიდან აღმოაჩინო. ამ უდაბნოში შენ უნდა აჯობო შენსავე თავს და გაიმარჯვო.

- რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას და თქვენ - პირადად?

- სიყვარული! ადამიანის მთავარი მამოძრავებელი სიყვარულია. როცა გიყვარს, წარმოუდგენელ ძალას ფლობ, გჯერა, რომ შეუძლებელი არაფერია, ზუსტად იცი, ყველა აღმართს აივლი, რომელსაც შეუდგები, ყველა ზღვას გადალახავ. სიყვარულს სინათლე შემოაქვს ადამიანში, ამ სინათლეს მხოლოდ საკუთარ თავში ვერ იტევს, ვერ მალავს და სხვებსაც ჰფენს ნათელს და რაც უფრო ძლიერი იქნება სიყვარული, რაც უფრო მეტი შეყვარებული ადამიანი ივლის ქვეყნად, მით ნაკლები ადგილი დარჩება სიბნელეს.

- ტრადიცია და ნოვატორობა - თქვენ საითკენ იხრებით?

- ადამიანის მოვალეობაა ფიქრი, განსჯის უნარი და საკუთარი არჩევანის გაკეთება ცხოვრებაში, თავისი ნების გამოხატვა. პატივს უნდა სცემდე იმას, რაც შენამდე მოიტანეს. ამაზე ხარ ადამიანი აღმოცენებული, შენი ფესვებია და მის გარეშე არსებობას ვერ შეძლებ. ამავდროულად, ადამიანის პირდაპირი მოვალეობაა მუდმივი ძიება, ახალი გზების მიკვლევა, ახალი მიმართულებების აღმოჩენა. სხვაგვარად წინსვლას ვერ შევძლებთ.

- ახლა ბათუმს და ბათუმელებს გადმოგვხედეთ, თქვენი სიყვარულის რომელ განედზე გვიგულებთ?

- ხომ არის ლურჯი ზღვები, კამკამა, ოქროსფერი სანაპიროებით... მაგრამ როცა იმ ზღვაში შევდივარ, თავს უცხოდ ვგრძნობ, ვხვდები, ის ზღვა ცალკეა და მე - ცალკე. ჩვენ ერთმანეთის საერთოდ არ გვესმის. მე ჩემი შავი ზღვა მირჩევნია ყველაფერს. შავ ზღვაში ცურვისას მის ნაწილად ვგრძნობ თავს, მის ტალღებში თავისუფლებას განვიცდი. როცა ცუდად ვარ, თვალებს ვხუჭავ და ბათუმზე ვფიქრობ, წვიმიან ბათუმსა და აღელვებულ ზღვაზე. ჩემი ნირვანაა ბათუმი. ვფიქრობ, ოდესმე მომეცემა საშუალება და საცხოვრებლად ამ ქალაქში გადმოვალ. მიყვარს აჭარა თავისი მთებით, თავისი ზღვით, თავისი ადამიანებით.

გამოფენა, რომელიც ქალების ემოციებზე გვიყვება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„თავის უფალი სული“ - ასე ჰქვია დეა ელიზბარაშვილის პირველ პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ხელოვნების მუზეუმის გალერეა მასპინძლობს. როგორც მხატვარმა აღნიშნა, მისი შთაგონების წყარო ქალბატონებია და სურს, ექსპოზიციის თითოეულმა დამთვალიერებელმა ქალმა, დედამიწის ყველაზე ძლიერმა ქმნილებამ, საკუთარი თავი, საკუთარი ემოციები ამოიკითხოს მასში. მიაჩნია, რომ სიყვარული და შინაგანი თავისუფლება ის მთავარი ძალაა, რომელიც გვაპოვნინებს ყველა კითხვაზე პასუხს და შეგვაგრძნობინებს სამყაროს მშვენიერებას. 10-წლიანი პაუზის შემდეგ აღნიშნული გამოფენით დაუბრუნდა მხატვრობას და თვლის, რომ ტილოების მეშვეობით შეძლო საზოგადოებასთან თავისი შინაგანი სამყაროს, მთავარი სათქმელის მიტანა

- ვფიქრობ, ჩემი ნახატები იტყვის თავის სათქმელს თავისუფლებაზე. ყველა ნამუშევარი სიყვარულითაა გაკეთებული და მინდა, ეს სიყვარული და სითბო, რაც ქალების მიმართ გამოვხატე, იგრძნონ ქალბატონებმა. 16 ნამუშევარი, რომელიც წარვადგინე, ჰყვება სხვადასხვა ისტორიას ქალების შესახებ, რომლებსაც ძალიან დიდი სიყვარული, სიხარული და ტკივილი აქვთ განცდილი. მინდა, ყველა ქალს ვუსურვო ბედნიერება, ისინი ნამდვილად იმსახურებენ ამას, - თქვა დეა ელიზბარაშვილმა.

მუზეუმის თითოეულ თანამშრომელს, მხატვარს, გამოფენის დამთვალიერებლებს მადლობა გადაუხადა ხელოვნების მუზეუმის მმართველმა. თენგო დოლიძის თქმით, სამუზეუმო ცხოვრება ყოველდღიურად სულ უფრო საინტერესო ხდება.

- მაქსიმალურად ვცდილობთ, გავამარტივოთ კომუნიკაცია ადამიანებთან. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია უკვე შემდგარი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ იმათ გვერდით, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს მხატვრობაში. ხელოვნება არის თავისუფლება, შესაბამისად, ყველა ადამიანს უნდა მივცეთ თავისი შინაგანი სამყაროს, შემოქმედებითი უნარების წარმოჩენის შესაძლებლობა, - აღნიშნა თენგო დოლიძემ.

გამოფენა „თავის უფალი სული“ 16 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

შეზღუდვები მალე მოიხსნება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თაობების ოცნება იყო, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის კლდისუბნისა და ჩანჩახალოს ტერიტორიებზე ტრანსპორტს შეუფერხებლად ემოძრავა. კლდოვან ქარაფებზე გზის სივიწროვის გამო, ბევრჯერ საბედისწერო ავარიებიც ხდებოდა. სამ წელზე მეტია, ხიჭაური-ჩანჩახალოს 9-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაოები თავდაპირველად, კომპანია „ზიმო 7“-მა დაიწყო, რომელიც შემდეგ კომპანია „გზებმა“ ჩაანაცვლა. სამუშაოების მასშტაბურობისა და მთის მკაცრი კლიმატის გამო ამ კომპანიასაც გადაუწიეს ვადები. ყველაზე მეტი დრო ორ მონაკვეთზე კლდის ქანების ჩამონგრევას დასჭირდა. ჩანჩახალოს კლდეებში ეს სამუშაოები უკვე დასრულებულია, კლდისუბნის კლდეებში კი გრძელდება. მიმდინარე სამუშაოების გამო, თითქმის სამი თვეა ამ მონაკვეთზე ტრანსპორტი შეზღუდვით მოძრაობს. ეს შეზღუდვები მალე მოიხსნება, კლდის ქანების უმეტესი ნაწილი უკვე მონგრეულია. მონგრევა-მოშანდაკებასთან ერთად, ასფალტს აგებენ დაბა შუახევის სიახლოვეს.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს.
ტელ: 27 48 93.

„ნაცარქექია“ – მეთოჯინეთა საერთაშორისო დღეს თეატრი პრემიერით ხვდება

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი პრემიერისთვის ემზადება. მეთოჯინეთა საერთაშორისო დღეს, 21 მარტს, მაყურებელი ირაკლი იორამაშვილის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლ „ნაცარქექიას“ იხილავს. სპექტაკლის ხანგრძლივობა 45 წუთია და ის 3+ ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

რეჟისორის თქმით, ის გააცოცხლებს ყველასთვის ნაცნობ ქართულ ხალხურ ზღაპარს და შეეცდება, თავისი ინტერპრეტაციით, ნაცარქექია სულ სხვა რაკურსით დაანახოს საზოგადოებას. ირაკლი იორამაშვილი მიიჩნევს, რომ ნაცარქექია შემოქმედი ადამიანია, რომელსაც თავისი სამყარო აქვს და ქმნის თავის ზღაპარს, რომელიც შესაძლოა სხვებს არ მოსწონდეთ, თუმცა თავად მშვიდად და საინტერესოდ გრძნობდეს თავს.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მთავრდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თებერვლის უხვმა ნალექებმა აჭარის მთიანეთის საგზაო ინფრასტრუქტურა სერიოზულად დააზიანა. ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში არ დარჩენილა სოფელი და დასახლებული უბანი, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებას არ საჭიროებდეს. მეწყრულ პროცესებს ზამთრის ნარჩენებიც დაემატა.

შუახევის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს ხშირად აკვირდებიან რეგიონის საგზაო დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე და მისი მოადგილე როლანდ ბოლქვაძე. მათი და შუახევის განყოფილებაში დასაქმებული პერსონალის აქტიური მუშაობის შედეგია, რომ მარტის მეორე დეკადის დასაწყისიდანვე თითქმის ყველა სახის ტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელია ჭვანისა და მარეთის ხეობების სოფლებში. დასრულებულია სტიქიისა და ზამთრის ნარჩენებისგან გზების გაწმენდითი სამუშაოები შორეულ სოფლებში (ნაღვარევი, ინწკირვეთი, წელათი, დარჩიძეები) მისასვლელ გზებზე.

- დადგა დრო, მიმდინარე წლის პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას შევუდგეთ. ისინი მართლაც რომ მასშტაბურია და განყოფილებაში დასაქმებული თითოეული მუშაკის მაქსიმალურ ძალისხმევას საჭიროებს. ამჟამად არსებულ ტექნიკურ საშუალებებს მალე რამდენიმე ერთეული ტრაქტორი შეემატება, რაც მუშაობის ხარისხს გააუმჯობესებს და სამუშაოების არეალს გაზრდის, - გვითხრა რეგიონის საგზაო დეპარტამენტის შუახევის განყოფილების უფროსმა ვიტალი ხიმშიაშვილმა.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/03/24, 17 ⁵⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მასიმილიანო დ'ანტუანო – აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში

ჩვენმა ქალაქმა ამ დღეებში იტალიისა და საქართველოს ფეხბურთის ლეგენდებს უმასპინძლა, რომლებმაც დაუვიწყარი სანახაობა შემოგვთავაზეს. მატჩმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და, მიუხედავად ცუდი ამინდისა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა

მატჩზე დასასწრებად ბათუმს იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მასიმილიანო დ'ანტუანო (სულ ერთი თვეა, რაც ჩვენს ქვეყანაში უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა) და ელჩის მოადგილე ფაბიოლა ალბანეზე ეწვივნენ.

როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა თეა ჭანტურიშვილმა გვითხრა, საქართველოს იტალიის სახელმწიფოსთან მრავალმხრივი ურთიერთობა აქვს, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

ბატონი ელჩი და მისი მოადგილე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა მიიღო. შეხვედრაზე საუბარი სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებს, იტალიის უნივერსიტეტებში სტუდენტების სწავლის დაფინანსებას, იტალიურის, როგორც მეორე არჩევითი ენის შესწავლის ხელშეწყობას, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის და სპორტის დარგში თანამშრომლობის გაღრმავებას შეეხო.

- 2018 წლიდან საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, აჭარის რამდენიმე საჯარო სკოლაში, მათ შორის, ბათუმის №№1, 2, 6 და ქობულეთის №6 სკოლებში, იტალიური მეორე არჩევით უცხო ენად დასახელდა, - გვითხრა თეა ჭანტურიშვილმა, - ამ სკოლების რიცხვს წელს ბათუმის №15 საჯარო სკოლაც შეემატა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებსა და მშობლებშიც ძალიან დიდი ინტერესია იტალიური ენის შესწავლისადმი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭირს იტალიური ენის სერტიფიცირებული პედაგოგები. აჭარაში ამჟამად 1000-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს იტალიურ ენას. ვფიქრობ, ამ პროგრამის წარმატებაა, რომ ბათუმის №1 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი გოგონა იტალიელებმა (გასაუბრების შედეგად) იტალიის ცნობილ ტუშას უნივერსიტეტში სასწავლო ტურისთვის შეარჩიეს. ეს იქნება ძალიან საინტერესო შემეცნებითი ტური. სასიხარულოა, რომ აქ გვყავს იტალიელი მოხალისე პედაგოგი ჯულიო სავინა, რომელიც ქართველ პედაგოგებს იტალიური ენის შესწავლაში ეხმარება. სამინისტროს ორგანიზებით, ყოველი წლის თებერვალი იტალიურ კინოს ეძღვნება, შედეგად - საჯარო სკოლის მოსწავლეები იტალიურ ნეორეალიზმს ორიგინალში ეცნობიან. პროგრამის „სწავლა საზღვარგარეთ" ფარგლებში, 2014 წლიდან სწავლის გასაგრძელებლად იტალიაში 11 სტუდენტი დაფინანსდა.

სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოსთან, რომლის თანადგომით, გენუის მუნიციპალიტეტთან ერთად, აჭარაში უკვე მეხუთედ ტარდება კლასიკური მუსიკის გენუისა და ბათუმის ახალგაზრდა მუსიკოსთა ფესტივალი. საელჩოს მონაწილეობა შემოიფარგლება დირიჟორის და, ასევე, ფესტივალის დამაარსებელი ლორენცო ტაციელისთვის ჰონორარის გადახდით. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ ქალაქმა ალექსანდრიამაც მოითხოვა აჭარის ხალხური ხელოვნების გაცნობა და ჩვენი წარმომადგენლები წარსდგნენ კიდეც ადგილობრივი მსმენელის წინაშე.

2024 წლის ივნისში ჩვენი სამინისტრო და ქობულეთის მუნიციპალიტეტი უდიდესი იტალიელი კომპოზიტორის ჯაკომო პუჩინის 100 წლის იუბილის აღნიშვნასა და აჭარის ულამაზეს ლოკაციაზე - გონიოს ციხესიმაგრეზე, ღია ცის ქვეშ, იტალიური ცნობილი ჰანგების აჟღერებას გეგმავს. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს, კალაბრიის გამომცემლობა „ლეონიდასთან" თანამშრომლობით გამოცემულ წიგნში „ორი ზღვის სუნთქვა" ორ ენაზე - იტალიურად და ქართულად, ხუთი კალაბრიელი და ხუთი ბათუმელი პოეტის ლექსები დაიბეჭდა. იმავე წელს სამინისტროს დელეგაცია, ხუთ ბათუმელ პოეტთან ერთად, კალაბრიაში გაემგზავრა, სადაც მათ დიდი პატივით უმასპინძლა მერმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამი წლის წინ, სამინისტროს მიერ დაფინანსებული ფოლკლორული ფესტივალის ფარგლებში, აჭარას ნეაპოლელი მუსიკისმცოდნე და საზოგადო მოღვაწე ონლაინუნივერსიტეტ „პეგასოს" დოცენტი ლორენცო ფიორიტო ეწვია. მასთან ახლო ურთიერთობამ განაპირობა 2023 წლის სექტემბერში სამინისტროს დელეგაციისა და ბათუმელი მხატვრებისა და მუსიკოსების მიწვევა ნეაპოლში. რეგიონის საბჭოს თავმჯდომარე ლორედანა რაიამ დიდი პატივით მიიღო აჭარის დელეგაცია სამეფო სასახლეში, სადაც ბათუმელი ხელოვანების კონცერტი გაიმართა. იქვე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტსა და „პეგასოს" შორის მემორანდუმსაც მოეწერა ხელი. აღსანიშნავია ისიც, რომ, უნივერსიტეტ „პეგასოს" ლექტორი და ჩვენი მეგობარი ლორენცო ფიორიტო ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში აპრილში დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციას დაესწრება.

სამი წლის წინ სამინისტროს მიერ დაფინანსებულმა ფესტივალმა „ზე-კართან" იტალიელ მწერლებსა და მხატვრებს მაღალმთიან აჭარაში უმასპინძლა, ელისო ბოლქვაძის ბათუმის მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში კი შარშან იტალიური სამზარეულოს დღე გაიმართა. ამ ფესტივალს იტალიელი მუსიკოსები ყოველ წელს სტუმრობენ. ბატონ ელჩთან ვისაუბრეთ იმაზეც, რომ ერთორკვირიანი ტურები ჩატარდეს სკოლებს შორის. საუბარი შეეხო სპორტსაც. ზაფხულში ბათუმის ქვიშის მოედანზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიება ტარდება, რომელშიც მათაც სურთ ჩართვა. მივაწოდეთ ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენ ერთმანეთთან ბათუმის ხელოვნებისა და ნეაპოლის უნივერსიტეტები დავაკავშირეთ, რომ იტალიაში, კერძოდ, ნეაპოლში ჩვენი ვიზიტი ნაყოფიერი იყო. მათთვის საინტერესო ინფორმაცია გახლდათ ისიც, რომ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა წარმატებით გამოვიდა ვატიკანში... სტუმრებმა დიდი ინტერესით მოისმინეს, ასევე, ინფორმაცია ახალი პროექტების შესახებ და თანადგომას დაგვპირდნენ.

ბელა ქებურიას შემოქმედებითი საღამო – ათენში

თითქმის ერთი კვირაა, ჩვენი თანაქალაქელი, პოეტი ბელა ქებურია, სხვა ქართველ ქალბატონებთან ერთად, საბერძნეთში იმყოფება. მათთვის ეს დღეები ემოციურად ძალიან დატვირთული გამოდგა

„დილიდან დაღამებამდე ემოციებში ვართ. ჯერჯერობით, ყველაზე დიდი სულიერი ღელვა კუნძულ ეგინაზე წმიდა ნექტარიოსის მონასტერმა და მის ლუსკუმასთან მიახლებამ გამოიწვია. მერე ვინახულეთ ზღვის დონიდან 600 მეტრ სიმაღლეზე მდებარე აფეას აკროპოლისი, რომელიც საუკუნით უსწრებს ათენის აკროპოლისს. ვიყავით ნავპლიოში, საბერძნეთის ერთ-ერთ ძველ დედაქალაქში. ვნახეთ ალიმიდის ციხესიმაგრე, ასევე, ნავებით გადავედით ბურჯის ციხესიმაგრეში და დავტკბით საოცარი ხედებით.

11 მარტს ვიყავით ფილის მთაზე, წმ. კვიპრიანესა და იუსტინიანეს მონასტერში.

...თუმცა, შემოქმედებითი საღამო, რომელიც ჩემს საიუბილეო თარიღს მიეძღვნა და ათენის ქართველთა კულტურის ცენტრ კავკასიაში 9 მარტს გაიმართა, ჩემთვისაც კი მოულოდნელი იყო და უზომოდ დიდი ემოციებით ჩაიარა. საღამო კულტურის ცენტრის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორმა, ბატონმა ავთანდილ მიქაბერიძემ ჩვეული აკადემიურობითა და სილაღით, დიალოგის ფორმატში წარმართა. საუბარს - ლექსი, ლექსს - მისალმება, მისალმებას - ემოციური შეფასება მოსდევდა. მე ჩემს ლექსებთან ერთად, გენიალური ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაც წარვუდგინე მსმენელთ, რომლებიც ასეთ საღამოებზე დასწრების პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ იყვნენ - როგორც მასპინძლები, ისე ბათუმელ სტუმართა დელეგაცია, რომელიც 22 წევრისგან შედგებოდა.

შეხვედრა მათი გამოსვლებით დაამშვენეს ჩვენმა მწერალმა ქალბატონებმა შორენა შენგელიამ, ზაირა კეღოშვილმა და რუსუდან ჯანელიძემ.

სასიამოვნო და სასიხარულო იყო, ასევე, ათენის ერთ-ერთ მამათა მონასტერში მოღვაწე ელგუჯა მაღულარიასთან შეხვედრა, რომელიც თანამემამულეებს გულწრფელად მოგვეფერა და მონასტრის ღვინით გაგვიმასპინძლდა. მადლიერების გრძნობით სავსე იყო მხატვარ ნარგიზ ფუტკარაძისა და სხვათა გამოსვლებიც... განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ვერიკო ქაროსანიძეს, რომლის ბერძნული თარგმანიც ჩემს ახალ 12-ენოვან წიგნში შევა. ესეც არ იკმარა ქალბატონმა ვერიკომ და თავისი ხელით მომზადებული ნუგბარითაც გაგვიმასპინძლდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დარბაზში გამოფენილი იყო ახალგაზრდა და ნიჭიერი მხატვრის ივანე კეზუას ნახატები, რომელმაც საღამო კიდევ უფრო შემოქმედებითი გახადა. მადლობა ბატონ ნიკოლას პანტელაკს, ჩემს უსაყვარლეს შორენა შენგელიას, მის დისშვილს - მშვენიერ თეას, ბატონ ავთანდილს, დიდებული მასპინძლობისთვის. მინდა მთელი გულით მოვეფერო ათენის ქართველთა კულტურის ცენტრის გოგონებს, რომლებიც ფარვანასავით თავს დაგვტრიალებდნენ. სტუმართა და მასპინძელთა შორის დიდი სითბო, ერთსულოვნება და სიყვარული სუფევდა", - წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე პოეტი ბელა ქებურია, რომელიც საბერძნეთიდან ორ დღეში დაბრუნდება და შთაბეჭდილებებს გაგვიზიარებს.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა